საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 29 მაისი, 2014 წელი.

№103 (7484)

> იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ვიდრე სამოთხე დაცარიელდებოდეს...

③

ხალხზე „მზრუნველი“ ხელისუფლება

⑤

ხადური გვატყუებს?!

⑦

ქიმერა: 26 მაისი

⑨

სამკურნალოს ნაცვლად საფრთხის შემცველი მედიკამენტები

⑥

ქართული რეფორმები კიევისთვის რეკომენდებული არ არის

⑧

მაგთი MAGTI

ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ

სიყვარული ვერტიკალურია და ბრუნვადი...

⑪

არქიტექტორი გივი ჯაფარიძე

④

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ინფორმაცია

ეკლესია ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ჩვენი ერი ერთ ძალად შეკრას

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა დიასპორის წარმომადგენლებს საქართველოში დაბრუნება უსურვა. შეხვედრაზე უწმინდესმა და უნეტარესმა, ილია მეორემ დიასპორის წარმომადგენლებს მიმართა, არ დაივიწყონ, რომ აქ მათი წინაპრების საფლავებია.

შეხვედრას ესწრებოდა დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი კონსტანტინე სურგულაძე, მინისტრის მოადგილე ზაზა სარაჯიშვილი და სამინისტროს სხვა წარმომადგენლები. ასევე შეხვედრაზე იმყოფებოდნენ ისტორიული ჰერეთიდან მოსწავლეები. დიასპორის სამინისტრომ კახის, ბელაქანისა და ზაქათალას რაიონის მოსწავლეებისთვის ლიტერატურული კონკურსი ჩაატარა. კონკურსში გამარჯვებული 15 მოსწავლე გამოვლინდა, უწმინდესთან შეხვედრას კი 10 ბავშვი, მშობლები და მათი თანმხლები პირები ესწრებოდნენ.

პატრიარქმა მოსწავლეებს მიმართა, მუზეუმები დაათვალიერონ და კარგად შეისწავლონ საქართველოს კულტურა.

— თქვენ დარწმუნდებით, რომ არც ერთ ქვეყანაში არ არის ასეთი სიმდიდრე, მაღალი ხელოვნება, როგორც საქართველოში. თქვენ უნდა ამაყობდეთ, რომ ქართველები ხართ. ჩვენი ეკლესია უძველესი ეკლესიაა და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ შეკრას ჩვენი ერი ერთ ძალად, ერთ მთლიან ერად. ჩვენი სურვილი ეს არის, — აღნიშნა პატრიარქმა.

უწმინდესის განცხადებით, საპატრიარქო დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს ყველანაირად მხარში ამოუდგება და საჭიროა უცხოეთში დაბადებული ქართული წარმოშობის ბავშვებმა იცოდნენ წერა-კითხვა, ქართული ენა, გალობა და ქართული ცეკვები.

კათოლიკოს-პატრიარქმა შეხვედრაზე მყოფებს საჩუქრად ქადაგებების კრებული, სანთლები გადასცა და ისინი დალოცა.

„ყველას გელოდებით საქართველოში", — აღნიშნა შეხვედრის ბოლოს პატრიარქმა.

◎ მოთხოვნის საფუძველი აღარ არსებობს

კოაბიტაციით „დაღლილები"

„ჩვენ აუცილებლად საბოლოოდ უნდა გავიმარჯვოთ, საბოლოოდ უნდა დავამარცხოთ „ნაციონალური მოძრაობა", რომელიც არც ერთ რაიონში არ უნდა იყოს წარმოდგენილი. მივმართავ ყველას, რომ აღარ დაუშვათ არსად, არც ერთ რაიონში ე.წ. კოაბიტაცია, ეს იქნება ჩვენი სირცხვილი", — ამ სიტყვების ავტორი საქართველოს პრემიერ-მინისტრია, რომელმაც 14 აპრილს წინასაარჩევნო მორატორიუმი გამოაცხადა. პრემიერმა მაშინ სამართალდამცავებს მოუწოდა, თავი შეიკავონ იმ ადამიანებს დაკავებისგან, რომლებიც წინასაარჩევნო კამპანიაში აქტიურად არიან ჩართული.

პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის განცხადებით, უდავოა, რომ ხელისუფლებამ საფრთხე იგრძნო, წინააღმდეგ შემთხვევაში, პრემიერის ლექსიკონში ეს ფრაზეოლოგია არ გაჩნდებოდა. პოლიტოლოგის შეფასებით, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დასრულების შემდეგ ხელისუფლებამ უნდა გადადგას ის ნაბიჯები, რასაც საზოგადოება ელის, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაიზრდება იმის შანსი, რომ ხელისუფლება შეიცვალოს.

For.ge. **რამაზ სამვარელიძეს ესაუბრა.**

— ბატონო რამაზ, დაგვიანებული არ არის პრემიერის განცხადება ე.წ კოაბიტაციის დასრულების შესახებ? ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ ყოფილ ხელისუფლებასთან კოაბიტაციას დასავლეთი ითხოვდა, რამაც სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია დაზარალებულ მოსახლეობაში და ეს უკმაყოფილების ტალღა დღითი დღე იზრდება...

— როგორც იტყვიან, შიდა ბაზარზე მეტი საყვედური გამოიწვია, მაგრამ გარე პარტნიორებმა უკეთესი თვალით შემოგვხედეს და მათგან წამოწყებული კოაბიტაცია მათ მიერვე შეფასდა, როგორც წარმატებულად ჩატარებული. მთავარი ამოცანა იყო, როგორმე დაგვერწმუნებინა დასავლეთი, რომ სასამართლო პროცესები არ არის პოლიტიკური დევნა. პრაქტიკულად, კოაბიტაციაზე პედალირება პოლიტიკური დევნის კონტექსტში ხდებოდა. ამ ეტაპზე კოაბიტაციის ფუნქციამ და იმ სცენარმა, რომელიც ჩატარდა საქართველოში, თავისი ფუნქცია საგარეო ურთიერთობებისთვის შეასრულა.

რაც შეეხება იმ ეტაპს, რაც უკვე წინ გველოდება, იქ კოაბიტაციაზე ლაპარაკი ვეღარც იქნება. იმიტომ, რომ კოაბიტაციას, როგორც ტერმინს, გამართლება ჰქონდა იმ კონტექსტში, რომ ხელისუფლების ერთი შტო — საპრეზიდენტო ხელისუფლება ეკავა „ნაციონალურ მოძრაობას", აღმასრულებელი ხელისუფლება ეკავა „ქართულ ოცნებას". ახლა რაღა კოაბიტაციაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ხელისუფლების ორივე შტოს განკარგავს „ქართული ოცნება". გიორგი მარგველაშვილი მართალი იყო, როცა ამბობდა, ჩემი არჩევით კოაბიტაცია დამთავრდებაო. იმიტომ, რომ ამ ტერმინის მოქმედების ფაზა მთავრდებოდა. ღარიბაშვილიც მართალია, როცა საგამოძიებო ორგანოებს, მოუწოდებს კოაბიტაცია აღარ გამაგონოთო.

— დღეს, პრემიერის მხრიდან გაჟღერებულ ამ მოწოდებას შეიძლება გარკვეული ქვეტექსტი ჰქონდეს?

— დათმობის პოლიტიკა, რაც აშკარად იკითხებოდა აქამდე, კოაბიტაცია უბრალოდ ის ტერმინი იყო, რომლითაც ამ პოლიტიკის გამართლებას ცდილობდნენ, თორემ რეალურად ეს კოაბიტაცია ყურით მოთრეული იყო. ის პოლიტიკა, რომ ნაციონალებთან ბრძოლით არ გავირთულოთ მდგომარეობა, მგონია, დამთავრებულია და, პრაქტიკულად, „ქართული ოცნება" გადავა უფრო რადიკალურ ნაბიჯებზე. მე მგონია, დაინახეს, რომ გარკვეული ანგარიშის გაწევით საპასუხო სიკეთეს ვერ მიიღებენ. რამდენი დათმეს, იმდენი მეტი დათმობა მოინდომეს ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ასეთია ადამიანის ბუნება. „ქართულ ოცნებას" მოუწევს ადამიანის ბუნების გამო ბრძოლა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნაციონალებმა შეიძლება ის ხელისუფლებაც კი აიაცალონ, რომელიც მიაჩნიათ, რომ უკვე განაღდებული აქვთ.

— თვლით, რომ ხელისუფლებამ გააანალიზა საფრთხე, რომ კოაბიტაციის პირობებში „ნაციონალური მოძრაობა" ძლიერდება?

— უდავოა, რომ ეს საფრთხე იგრძნო ხელისუფლებამ, ისე ეს ფრაზეოლოგია არ გაჩნდებოდა. „ქართულმა ოცნებამ" რეალურად უნდა სცადოს სიტუაციის შეცვლა. წინააღმდეგ შემთხვევაში, წინ არის საპარლამენტო არჩევნები, თუ ადგილობრივ არჩევნებში მოიპოვებს წარმატებას, საპარლამენტო არჩევნებში მგონია, რომ ძალიან გაუჭირდება იმიტომ, რომ დღითი დღე მატულობს საპროტესტო განწყობილება.

— რატომაც მატულობს საპროტესტო განწყობა, რა არის მიზეზი და მოტივი, მხოლოდ კოაბიტაცია?

— კოაბიტაცია ის ფოთოლი იყო, რომლითაც იფარებოდა „ქართული ოცნების" მხრიდან პასიურობა სამართლიანობის აღდგენაში. რამდენიმე ათასი საჩივარი ნაციონალების მიერ წართმეულ ქონებაზე, ჯანმრთელობისა თუ სიცოცხლის ხელყოფაზე, ეს აღარ არის პოლიტიკური გემოვნების საკითხი, აქ საქმე, უშუალოდ, ადამიანების ცხოვრებას ეხება, მათ ბედ-იღბალს გადაუარეს ნაციონალებმა. აქ არის უკმაყოფილების ცენტრი და თუ ეს უკმაყოფილება არ დაკმაყოფილდა, მაშინ მოსახლეობისთვის ერთნაირები იქნებიან „ნაციონალური მოძრაობა" და „ქართული ოცნება" და მომავალში ორივეზე ერთნაირად გავრცელდება უკმაყოფილება.

— ბატონო რამაზ, ეს განცხადება ნიშნავს, რომ რეალურად დაიწყება იმ საქმეების გამოძიება და დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემა, რომელსაც საზოგადოება ითხოვს?

— მგონია, რომ კოაბიტაციის დასრულება ეხებოდა სწორედ საარჩევნო პროცესში თანამშრომლობის გამორიცხვას ნაციონალებსა და „ოცნებას" შორის, რის თაობაზე ხმები ისედაც დადიოდა ადრინდელი არჩევნებიდან. ნაციონალებმა და „ოცნებამ", თუ შეიძლება ითქვას, ხმები სათავისოდ გადაინაწილეს და მესამე ზედმეტი აღარ შემოუშვეს პოლიტიკურ არენაზე. ამდენად, მგონია, რომ ამ მისამართით იყო ეს ფრაზა ნათქვამი. სამართლებლივი დევნის მიმართულებით კი, მგონია, მორატორიუმის ფორმულა ისევ რჩება ძალაში.

ხელისუფლებას მომავალ საპარლამეტო არჩევნებში მაღალი რეიტინგი დასჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს იმედგაცრუება, მათ საპარლამენტო არჩევნებში მარცხს მოუტანს. ამიტომ, ადგილობრივი არჩევნების დასრულების შემდეგ, ხელისუფლებამ უნდა გადადგას ის ნაბიჯები, რასაც საზოგადოება ელის, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაიზრდება იმის შანსი, რომ ეს ხელისუფლება შეიცვალოს. დღეს, როდესაც ხელისუფლების ყველა შტოში ერთი პოლიტიკური გუნდია მოსული, ტერმინი კოაბიტაციის გამოყენების და მისი მოთხოვნის საფუძველი აღარ არსებობს.

თამთა ძარჩავა

◎ ვითარება

...მაგრამ ჭირმა თავი არ დამალა!

როგორ სრულდება სახელმწიფო ბიუჯეტი?

2013 წლის არასახარბიელო ეკონომიკურმა ინდიკატორებმა საბიუჯეტო პარამეტრების შესრულებაზეც იქონია გავლენა. კერძოდ, 2013 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში დაგეგმილზე 632,2 მლნ ლარით ნაკლები გადასახადების მობილიზება მოხდა. იმის მიუხედავად, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში დაფინანსების სხვა წყაროებიც არის გათვალისწინებული, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების მონიტორინგი, რადგან ეს შემოსავლების ის წყაროა, რომელიც ყველაზე მეტად ასახავს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს.

სახელმწიფო ბიუჯეტში დიდი დანაკლისის მიუხედავად, კვარტალური მაჩვენებლების მიხედვით, ბიუჯეტი გეგმის გადაჭარბებით სრულდებოდა — ასე მაგალითად, პირველ კვარტალში, და 6 თვის მონაცემებით, 100,2%-ით, ხოლო 9 თვეში — 100,1%-ით. თუ ამ მონაცემებს დავეყრდნობით, რომელიც საქართველოს მთავრობამ პარლამენტს წარუდგინა, გამოდის, რომ ბიუჯეტს შესრულების კუთხით პრობლემა არ უნდა შეჰქმნოდა.

საქართველოს მთავრობა წლის განმავლობაში ირწმუნებოდა, რომ ბიუჯეტის შესრულებას პრობლემა არ შეექმნებოდა. სინამდვილეში ბიუჯეტის პარამეტრები წლის დასაწყისიდანვე მნიშვნელოვანი ჩამორჩენით სრულდებოდა. ყოველი საანგარიშო კვარტალის დასრულებამდე რამდენიმე დღით ადრე საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებების საფუძველზე ხდებოდა კვარტალური გეგმების კორექტირება, რომლის შედეგადაც, გეგმიურთან შედარებით, შესრულების პროცენტული მაჩვენებლები 100 პროცენტს სცდებოდა.

ასე მაგალითად, 2013 წლის პირველი კვარტალის გეგმა თავდაპირველად განსაზღვრული იყო მილიარდ 636,9 მლნ ლარით, ფაქტობრივმა შესრულებამ კი მილიარდ 553,5 მლნ ლარი შეადგინა. თუმცა, კვარტალის ბოლოს, 2013 წლის 29 მარტს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის №85 ბრძანებით, კვარტალის გეგმა შემცირდა და მილიარდ 550,1 მლნ ლარით განისაზღვრა. შესაბამისად, ნაცვლად იმისა, რომ ბიუჯეტის შესრულება გადასახადების ნაწილში 94,9 პროცენტი დაფიქსირებულიყო, საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ინფორმაციის მიხედვით, შესრულება 100,2 პროცენტით განისაზღვრა.

ანალოგიური შემთხვევა დაფიქსირდა ბიუჯეტის 6 თვის მონაცემების შესრულების მიმართაც. კერძოდ: თავდაპირველი გეგმა განისაზღვრა 3 147,7 მლნ ლარით, ხოლო მოგვიანებით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 28 ივნისის №225 ბრძანებით, იგი შემცირებული იქნა 2,977,0 მლნ ლარამდე. აღნიშნულის გათვალისწინებით, ბიუჯეტის შესრულება ასევე 100,2% დაფიქსირდა.

ასევე, მსგავსად წინა კვარტალებისა, 9 თვის განმავლობაშიც, 2013 წლის 30 სექტემბრის №328 ბრძანებით, თავდაპირველ გეგმასთან მიმართებაშიც შემცირებული იქნა საბოლოო გეგმის მაჩვენებელი. შესაბამისად, შესრულების პროცენტული მაჩვენებელი 100,1%-ით განისაზღვრა.

ასეთი ქმედება, ერთი მხრივ, ეფუძნებოდა შესრულების სასურველი პროცენტული მაჩვენებელების საზოგადოებისათვის მიწოდების სურვილს, ხოლო, მეორე მხრივ, კიდევ უფრო აღრმავებდა კერძო სექტორის მიერ არასტაბილურობის შეგრძნების განცდას, ამცირებდა ნდობას მთავრობის ფინანსური გუნდის მიმართ და ბადებდა კითხვებს იმის შესახებ, თუ რამდენად შეეძლო მთავრობას არსებული პრობლემების მოგვარება. ვფიქრობთ, სასურველი და აუცილებელი იყო, წლის დასაწყისშივე თქმულიყო, რომ არსებობდა გარკვეული სირთულეები ეკონომიკაში, არსებობდა პრობლემები ბიუჯეტის შესრულებასთან მიმართებაშიც და მთავრობას საზოგადოებისათვის მიეწოდებინა კონკრეტული სამოქმედო გეგმა აღნიშნული ვითარებიდან თავის დასაღწევად, რაც, სამწუხაროდ, 2013 წელს არ გაკეთებულა.

ნინო ევგენიძე
რადიო „თავისუფლება"

◎ ვატიკანელი გეი მღვდლების ორგიები

სკანდალური ჟურნალისტური გამოძიება კათოლიკურ ეკლესიაზე

გერმანელმა ჟურნალისტებმა კათოლიკურ ეკლესიაზე სკანდალური ფილმი გადაიღეს. მასში დაწვრილებით არის აღწერილი რეალური ცხოვრება ვატიკანში: ინტრიგები, კორუფცია, ფულის გათეთრება, პედოფილი და გეი მღვდლები და ა.შ. გერმანული მაუწყებლის, ARD-ს ჟურნალისტური გამოძიება იტალიელი რეპორტიორის კარმელო აბატეს გამოძიებას ეფუძნება.

აბატემ, რომელიც რამდენიმე წელია ვატიკანის ბნელ მხარეებს იძიებს, გეი მეგობრის დახმარებით, ფარულად მოახერხა, გადაეღო სკანდალური ვიდეომასალა: როგორ ერთობიან რომის ერთ-ერთ გეი ბარში კათოლიკე მღვდლები. 2011 წელს აბატი 4 თვის განმავლობაში აკვირდებოდა „დაფარულ ვატიკანს" და ჟურნალისტური გამოძიების შედეგები ერთ წიგნში - „სექსი და ვატიკანი" გააერთიანა.

ამასთან, გარყვნილი მღვდლების მფარველობაში ახლანდელი პაპის წინამორბედს ბენედიქტ XVI-ს ადანაშაულებენ, რომელმაც გასული წლის თებერვალში საკუთარი ნებით დატოვა პოსტი.

2014 წლის მაისში ვატიკანმა 848 პედოფილ მღვდელს ღვთისმსახურის წოდება ჩამოართვა.

ვიდრე საოთხე დაცარიელდებოდეს...

საქართველოს პარლამენტის მიერ ეგრეთ წოდებული ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებამდე და მის შემდეგ არ წყდება მწვავე კამათი და პოლიტიკური სპეკულაციები საზოგადოებრივ ცხოვრებაზე მისი კეთილისმყოფელი გავლენისა თუ შესაძლო დამანგრეველი შედეგების შესახებ.

თანამედროვე საქართველოში დისკრიმინაციის (კანის ფერის, ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიური კუთვნილების, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან რაიმე სხვა ნიშნით ადამიანის ჩაგვრის) ამკრძალავი სპეციალური კანონის მიღების აუცილებლობა არ არსებობდა. იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მოქმედი კანონმდებლობა ამ საკითხს ისედაც აწესრიგებს, გარდა ამისა, საქართველოში არ არსებობდა და არ არსებობს რაიმე კანონი ან ნორმატიული აქტი, რომელიც ადამიანებს რასის, ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიური კუთვნილებისა თუ სექსუალური ორიენტაციის მიხედვით განასხვავებდეს (ახარისხებდეს). რაც შეეხება გენდერულ (მამაკაცისა და ქალის) თანასწორობას, ქართული ადათ-წესები ერთი ან მეორე მხარის სასარგებლოდ რაიმე განსაკუთრებულ პრივილეგიებს არ ითვალისწინებს. თუ მხედველობაში არ მივიღებთ მართლმადიდებელ ეკლესიას, რომელიც თავის მრევლს ამ ნიშნით მცირედით, მაგრამ მაინც ერთმანეთისგან განასხვავებს. თუმცა, ეს არის ეკლესიური კანონები და მასში ჩარევა სახელმწიფოს არ შეუძლია.

უკვე მესმის პროტესტი, რომ საქართველოს ისლამურ ოჯახებში ქალებსა და მამაკაცებს შორის სრულ თანასწორობაზე საუბარი, სხვა თუ არაფერი, უხერხულია; მამაკაცის მიერ ქალის ჩაგვრის შემთხვევები კი ეთნიკურ ქართულ ოჯახებშიც გვხვდება. გეთანხმებით, მაგრამ პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს 15-საუკუნოვან ისლამურ ტრადიციასთან, უფრო ზუსტად, შარიათის კანონებთან; ხოლო მეორე შემთხვევაში — ანომალიასთან (ქალი რომ დომინირებს, საქართველოში ისეთი ოჯახიც ბევრია!). სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ორივე შემთხვევაში საერო კანონმდებლობა, უბრალოდ, უძლურია. ასე რომ, ვერც ერთი და ვერც მეორე კანონის მიღების მიზეზი ვერ იქნებოდა.

ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების მთავარი დანიშნულება იყო კანონის წინაშე ქვეყნის ყველა მოქალაქის თუ სოციალური ჯგუფის თანასწორობისთვის კიდევ ერთხელ ხაზგასმა და არა რომელიმე პირის ან სოციალური ჯგუფისთვის (მაგალითად, განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანებისთვის) რაიმე სახის უპირატესობის მინიჭება.

ვიმეორებ: არა მოქალაქეთა გრადაცია, არა ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა, არა გაუკულმართებული სექსუალური ურთიერთობების დამკვიდრებისთვის ხელშეწყობა, არა ტრადიციებისა და სულიერი ღირებულებების დაკნინება-უგულებელყოფა, არამედ კანონის წინაშე საყოველთაო თანასწორობისათვის დემონსტრაციული ხაზგასმა!

კანონს აპროტესტებენ საეკლესიო მამები; მარად დამწყები პოლიტიკოსი შალვა ნათელაშვილი; პოლიტიკაში ჭიპმოჭრილი კახა კუკავა; პოლიტიკაში ჩაურევლობითა და გამუდმებული პოლიტიკური განცხადებებით (და ბევრი ნამდვილად კარგი საქმით!) ცნობილი ბიზნესმენი ლევან ვასაძე; დავალებების ცუდი შესრულებით სახელგანთქმული ქართული პოლიტიკური პრიმიტივიზმის ფუძემდებელი „ბატია“ თენგიზ კიტოვანი და მისი „ბიჭები“; პოლიტიკას მიტმასნილები; თავის იოლად გამოჩენის დაუძლეველი სურვილით შეპყრობილი საეჭვო გონებრივი შესაძლებლობების ადამიანები....

მოთხოვნები თითქმის ერთნაირია - ზოგი მოითხოვს ახალ საპარლამენტო არჩევნებს, ზოგი - პარლამენტის გარეკვას. საეკლესიო მამების მხრიდან ანტიდისკრიმინაციული კანონის უმწვავესი კრიტიკა არის საერო ხელისუფლებაზე ეკლესიის კონტროლის დამყარების კიდევ ერთი მცდელობა; შალვა ნათელაშვილის მხრიდან — წყალწაღებულისგან ხავსზე მოჭიდების იმედი; პოლიტიკოსების მხრიდან — პოლიტიკური ფარისევლობა და საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ინფორმაციით მანიპულაცია; „ბატია“ თენგიზისა და მისი მხარდამჭერების მხრიდან (თუ ასეთები ბუნებაში მართლაც არსებობენ) —ევროპულთან შედარებით რუსული გარემოს უპირატესობის დემონსტრაცია...

ამ კამპანიაში ცოტა უცნაურია ლევან ვასაძის კოლორიტული ფიგურის გამოჩენა. თავს ვერ დავდებ, მაგრამ ვფიქრობ, რომ მას, დემონსტრაციულად მორწმუნე ადამიანს, ეს ნაბიჯი მართლმადიდებელი ეკლესიისადმი ერთგულებამ და საეკლესიო მამების უცთომელობის ილუზიამ გადააგდგმევინა. გულწრფელად რომ გითხრათ, მისი საქციელის ახსნა ძალიან მიჭირს.

ქართული საზოგადოება, მათ შორის ის ნაწილი, ვინც კანონის მიღებაში ტრაგიკულს ვერაფერს ხედავდა, ძალიან გააღიზიანა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებამ, „ვინც რა უნდა თქვას, ჩვენ ამ კანონს მაინც მივიღებთ“.

საქმე ის გახლავთ, რომ კანონების მიღება-არმიღება არ არის პრემიერ-მინისტრის პრეროგატივა — კანონებს იღებს პარლამენტი ხმათა უმრავლესობით. პრემიერმა ამ სიტყვებით ქვეყნის გასაგონად თქვა: **„თქვენი და თქვენს მიერ არჩეული პარლამენტის აზრი ფეხებზე მკიდია — სახელმწიფო, ეს მე ვარ და გავაკეთებ, რასაც მინდა!“**

ამას ამბობს საკუთარი პოლიტიკური ბიოგრაფიის არმქონე ძალიან ახალგაზრდა კაცი, ვინც მხოლოდ იმის გამო ზის პრემიერის სავარძელში, რომ ხალხის რჩეულის, ბიძინა ივანიშვილის რჩეულია. და კიდევ, ეს არ ყოფილა ღარიბაშვილის არც პირველი და არც უკანასკნელი უპასუხისმგებლო განცხადება.

დიახ, ბატონი ღარიბაშვილი ნიჭიერია, განათლებულია, შრომისმოყვარეა, ამბიციურია, რისკიანიცაა, მაგრამ მას, ეტყობა, მოყვრების მტრად მოკიდების ნიჭიცა აქვს და საკუთარი უცთომელობის რწმენაც.

არა მგონია, ამას ჩვენი პარლამენტი და მთავრობა ვერ ხედავდნენ.

საქართველოს პარლამენტში, მთლიანად საქართველოს ხელისუფლებაში დღემდე არ გამოჩნდა ადამიანი, ვინც მტერ-მოყვარეს აუხსნიდა იმ კანონის მიღების აუცილებლობას, რომლის მიღების აუცილებლობაც ქვეყანაში არასოდეს მდგარა — ანტიდისკრიმინაციული კანონისა! თუ ტოლერანტობაზე, თანასწორობასა და ევროპულ ღირებულებებზე მიეთ-მოეთს გვერდზე გადავდებთ, ხელთ კანონის მიღების ერთადერთი არგუმენტი შეგვრჩება — ამას ჩვენგან მოითხოვს ევროკავშირი მასთან ასოცირების ხელშეკრულების სანაცვლოდ.

სავსებით შესაძლებელია. თანაც, ევროპის ორიოდე ქვეყანაში ასეთი კანონი მართლაც მოქმედებს (არ მოქმედებს გერმანიაში, ფაშიზმის მძვინვარების მშობელ ქვეყანაში!).

რახან ჩვენი ხელისუფლება პრინციპულად არ პასუხობს კითხვას — რატომ მოითხოვს? — ვცადოთ და ჩვენ თვითონ ვუპასუხოთ.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ პოლიტიკურად არეული და ეკონომიურად დუხჭირი „ღვთისმშობლის წილხვედრი“ ქვეყანა დაახლოებით მილიონ ნახევარმა მოქალაქემ დატოვა. ასეულ ათასობით ადამიანმა ბედის საძიებლად ევროპულ ქვეყნებს მიაშურა. მათი აბსოლუტური უმრავლესობა იქ დღესაც არალეგალურად ცხოვრობს და საქმიანობს. 90-იანი წლებიდან ისინი ევროპულ ქვეყნებში თავშესაფარს სამშობლოში „პოლიტიკური დევნის“ საბაბით მოითხოვდნენ — ჩვენ, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეებს, სამშობლოში არ დაგვედგომებაო!

დღეს „ზვიადიზმის“ თემა უკვე ყავლგასულია და ამით ჩვენს მეგობარ ევროპას გულს ვერავინ აუჩუყებს. ამიტომ ქართველმა ბედის მაძიებლებმა ახალ უტყუარ ხერხს მიაგნეს: საქართველო, ძველი ადათ-წესების მიმდევარი ქვეყანაა და ჩვენ, განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანებს, იქ ყოველმხრივ გვავიწროებენ. მოიღეთ მოწყალება და მოგვანიჭეთ მოქალაქეობა ან, უკიდურეს შემთხვევაში, მოგვეცით თავშესაფარი!

ვიმეორებ, ამას ევროპის ქვეყნებში ითხოვს ასეულ ათასობით ემიგრანტი საქართველოდან და საქართველოსნაირი ბევრი სხვა ქვეყნიდანაც. ევროკავშირს არ აქვს რაიმე სამართლებრივი მექანიზმი ამ ადამიანების არგუმენტის შესამოწმებლად — მართლაც არიან თუ არა გეები, ტრანსსექსუალები, ლესბოსელები და იმპოტენტები. ვერც იმის დადგენა ხერხდება, მართლაც იჩაგრებიან თუ არა ისინი საქართველოში. ამიტომაც ევროინტეგრაციის მსურველი საქართველოს ხელისუფლებისაგან კატეგორიულად მოითხოვეს ისეთი კანონის მიღება, ევროპელები თავშესაფრის მთხოვნელ ლგბტ-ებს რომ აუფრიალებდნენ - აი, თქვენს სამშობლოში უკუღმართი სექსუალური მიდრეკილებების გამო დღეიდან უბატონოდ ხმას ვერავინ გაგცემთ და უკან წაბრძანდითო!

ისიც უნდა ითქვას, რომ დღევანდელ ვითარებაში საქართველოდან წასული ყველა ქართველისთვის უცხოეთში თავშესაფრის მინიჭება არც ჩვენთვისაა მომგებიანი - ორიოდ წელიწადში, შესაძლოა, საქართველო ისე დაცარიელდეს, როგორც საოთხე ლოთების და მრუშებისაგან.

სულ ესაა, რასაც ხელისუფლება თავის ხალხს ვერ ეუბნება.

მკითხეთ, რატომ ვერ ეუბნება? — ზემოთ რომ ჩამოვთვალე, ისევ იმ და იმნაირი ხალხის შიშით. და კიდევ იმის გამო, რომ ხელისუფლებას არ შეუძლია ხმამაღლა თქვას ის, რასაც ახლა ვიტყვი მე, კერძო პირი თეიმურაზ ქორიძე: **როცა ქვეყნიდან რაგინდარა მიზეზით გარბის ასი ათასობით ადამიანი, იმ ქვეყნის მოქალაქეთა პატრიოტიზმზე საუბარი ძალიან გადაჭარბებულია; როცა სხვა ქვეყანაში მეტნაკლები კომფორტით მოკალათების მსურველი ასი ათასობით ადამიანი პედერასტობას იბრალებს, იმ საზოგადოების მდგრად ფსიქიურ მდგომარეობაზე საუბარი ძალიან საჭოჭმანოა.**

ეტყობა, ძალიან შევეჩვიეთ საკუთარი ცოდვების სხვებზე გადაბრალებას. ერთმანეთისთვის ლაფის სროლის ნაცვლად, ერს და ბერს იქნებ ერის სულიერ გაჯანსაღებაზეც გვეფიქრა?

თეიმურაზ ქორიძე

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● ჯერ თემიდა დააპაჩინკეთ და მერე იძახეთ „არა ძალადობას“!

● ვაჭარაძეს დაუგინებია: მაგათ თუ თმები არ დავაწიწკნო, პედერასტი ვიყოო!

● მაჩვენეთ თუნდაც ერთი მინისტრი, დეპუტატი, პარტიული მუშაკი დ.ა.შ რომელიც იმის გამო, რომ — „თავისი სიცოცხლე, ნიჭი, უნარი ზვარაკად მიაქვს სამშობლოს სამსხვერპლოზე“, უარს ამბობს უუუუზარმაზარ ხელფასზე (150 ლართან შედარებით), უფრო უუუუუზარმაზარ დანამატზე და თავის თანამშრომლებსაც ერის (და არა კუჭის) სამსახურისკენ მოუწოდებს, გპირდებით, რომ მე პირადად დავუდგამ ძეგლს რუსთაველზე ილიას და აკაკის გვერდით!

● ნებისმიერ ჩინოვნიკს რომ ჰკითხო, რატომ ხარ სახელმწიფო სამსახურშიო, გეტყვის—სამშობლოს უნდა ვემსახუროო! არადა, სამშობლო სახელფასო უწყისით არ განისაზღვრება!

● აი, თურმე, რა ყოფილა:

„რეზო თაბუკაშვილი შევარდა „ლიტერატურულ კაფეში“ მდუღარე ჩაით ხელში!“ — „რუსთავი 2“.

ორი ვარიანტია:

1. რეზო მადუღარათი და „აპმადის“ ჩაის ფერით მივიდა კაფესთან, გვერდით, საპარიკმახეროში ჩაი დააყენა, დაისხა და „ლიტერატურულ კაფეში“ „შევარდა“;

2. თერმოსით მიიტანა მდუღარე, მანქანაში დაისხა და ისე „შევარდა“.

ნეტა ნიკა გვარამიას მაინც თუ სჯერა თავისი „ინფორმაციების“?

დარწმუნებული ვარ, ბიჭები ისხდნენ „ლიტერატურულ კაფეში“ და გვერდით მაგიდასთან ლადარია (თუ ლატარია, ეშმაკმა იცის!) ან ჭიაბერაშვილი რაიმეს წაისისინებდნენ, როგორც სჩვევიათ და საკადრისი პასუხიც გასცეს!

ისე, მინდა დავაწყნარო დედაქალაქის მცხოვრებლები და განსაკუთრებით, ინვესტორები და ვთქვა, რომ კვირაში ერთი „მიშისტის“ ცემა სულაც არ ნიშნავს კრიმინოგენური სიტუაციის გაუარესებასს! ამ ტემპით თუ ვივლით, წლის ბოლოსთვის, აღარც გაულახავი „მიშისტები“ გვეყოლება და აღარც გაუარესებული კრიმინოგენური ვითარება გვექნება, ქვეყნის მასშტაბით!

● ჯანი გავარდეს, დახურეთ სასამართლო და გამოყავით ერთი საერთო პალატა..

● კეზერაშვილი უმანკოა! ასეთია კუბლაშვილის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელსაც ახალმა ხელისუფლებამ მწვანე აუნთო და ხელფასებიც გაუზარდა. ახლა, ახალი ხელისუფლება გვეუბნება, მე ვაპატიმრებ — სასამართლო უშვებსო და მხრებს იჩეჩავს.

● სამართალი ავტობუსით დადის!

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

შეუძლებელია, გულგრილი დარჩე

....„შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ჩვენმა (იგულისხმება სამხატვრო აკადემია – რედ.) და პოლიტექნიკური ინსტიტუტის პარალელურმა ჯგუფებმა, გარდატეხის ეტაპზე, დიდი წვლილი შევიტანეთ ქართული არქიტექტურის მოდერნიზაციაში. ჩვენ აღმოვჩნდით ნოვატორები, დროზე დავიკავეთ საჭირო პოზიცია და პირველებმა ვთქვით უარი პროექტირების ძველ მეთოდებზე. ეს იყო ნამდვილი გარღვევა. ჩვენ ვქმნიდით აბსოლუტურად სხვა არქიტექტურას. უფროსი თაობის წარმომადგენლები ხშირად ყოფილან ჩვენი სტუმრები. ისინი საათობით ისხდნენ და აღფრთოვანებით საუბრობდნენ ჩვენს პროექტებზე“. ამ სიტყვების ავტორი თვალსაჩინო არქიტექტორი, მხატვარი და მუსიკოსი გივი ჯაფარიძეა. ჩინებულმა ქართველმა ხუროთმოძღვარმა ცხოვრებისა და შემოქმედების საინტერესო გზა განვლო. მისი არაერთი თამამი არქიტექტურული პროექტი თუ ცხოვრებისეულ სირთულეებთან გამკლავების უნარი, მრავალ შემოქმედს, განსაკუთრებით კი ჩვენს ახალგაზრდობას, სანიმუშოდ გამოადგება.

ნიჭისა და ოსტატობის გამოსავლენად საუკეთესო გარემო და სამუშაო პირობები აღმოჩნდა. ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, რუსეთში მისი არაერთი პროექტი განხორციელდა... იდეები, რომლებსაც საქართველოში ჩაეყარა საფუძველი, გამოცდილმა ხუროთმოძღვარმა დასავლეთის მოთხოვნებს შეუსაბამა და თვალსაჩინო წვლილი შეიტანა თანამედროვე არქიტექტურის განვითარებაში. წარმატებების მიუხედავად, მძიმე აღმოჩნდა უცხოეთში ხანგრძლივი ცხოვრება, ამიტომ გივი ჯაფარიძემ დაბრუნება და მშობლიურ გარემოში, სამშობლოში მუშაობის გაგრძელება განიზრახა.

2012 წლის 20 სექტემბერს, თი ბი სი ბანკის საგამოფენო დარბაზმა გივი ჯაფარიძის ნამუშევრების ექსპოზიციას უმასპინძლა. დამსწრე საზოგადოებაზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მხატვრისა და ხუროთმოძღვრის ნიჭიერად შესრულებულმა ფერწერულმა და გრაფიკულმა ნამუშევრებმა. იმავდროულად, ეს იყო ერთგვარი ანგარიში, რომელსაც ბატონი გივი საზოგადოებას, გამოცდილ ექსპერტებს, უამრავ მეგობარსა და ხელოვნების მოყვარულებს აბარებდა. სწორედ მაშინ გადაწყდა ამ მრავალმხრივ შემოქმედზე წიგნის დაწერა. **სამხატვრო აკადემიის პროფესორმა, გივი ჯაფარიძის თანაკურსელმა, მეგობარმა და თანამოაზრემ, მისი მოღვაწეობის ერთგვარმა მემატიანემ თამაზ ნათიძემ ეს გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანა და შესანიშნავი მონოგრაფია შექმნა, რომელიც განხორციელებულმა პროექტებმა და მრავალმა საპროექტო ჩანაფიქრმა, შენობა–ნაგებობათა თუ მხატვრული ტილოების ილუსტრაციებმა, ცხოვრების საინტერესო ეპიზოდების ამსახველმა მიმზიდველმა ფოტოსესიამ დაამშვენა.** მონოგრაფია შესავალი წერილის, ოთხი თავის, წინათქმისა და ბოლოთქმისაგან შედგება. წიგნი ინფორმაციულად მდიდარი, სტრუქტურულად – ორიგინალური და მიმზიდველია. შეუძლებელია, გულგრილი დარჩეს მკითხველი იმ გულთბილი სიტყვების მიმართ, რომელსაც ხელს აწერენ მონოგრაფიის ავტორი თამაზ ნათიძე და არქიტექტორი გივი ჯაფარიძე. ბოლოთქმაში ვკითხულობთ: ...„**მშობლებს, პედაგოგებს, მეგობრებსა და უახლოეს ადამიანებს, ჩვენ გვერდით რომ აღარ არიან, სიყვარულით, მოკრძალებითა და მადლიერებით ვუძღვნით ამ წიგნს. ახალგაზრდებს კი ვუსურვებთ, იცხოვრონ წინაპართა ხსოვნისა და არჩეული პროფესიის ერთგულებით, მეგობრებისა და ახლობლებისადმი, ზოგადად, ადამიანისადმი სათუთი დამოკიდებულებითა და სიყვარულით“.**

მონოგრაფია სახელწოდებით „არქიტექტორი გივი ჯაფარიძე“ კომპანია მაგთიკომის დამფუძნებლის გია ჯოხთაბერიძის თანადგომითა და ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა. წიგნმა როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურა. გთავაზობთ გივი ჯაფარიძისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაზე ცნობილ მკვლევართა და საზოგადო მოღვაწეთა მიერ გამოთქმულ ზოგიერთ მოსაზრებას. ჩანს, ყველა დაინტერესებულ პირს, ინფორმაციულად მდიდარი, ოსტატურად დაწერილი წიგნი არ შეხვდა და, მაღალ შეფასებებთან ერთად, თითოეული წიგნის ხელახლა გამოცემის სურვილს გამოხატავს...

მაგთიმ კიდევ ერთხელ დასდო ამაგი ქართულ კულტურას, ქართულ საქმეს: გამოსცა არაჩვეულებრივი მონოგრაფია, რომლის ავტორია ცნობილი არქიტექტორი თამაზ ნათიძე. ეს არის წიგნი შესანიშნავი არქიტექტორისა და მხატვრის გივი ჯაფარიძის შესახებ.

პროფესიონალი არ გახლავართ, მაგრამ თვალს ვადევნებ ჩვენი ქვეყნის კულტურულ ყოფას და ვფიქრობ, რომ ეს არის ღირსეული და გამორჩეული ნაშრომი, ასევე ღირსეული და გამორჩეული შემოქმედის შესახებ. ამასთან ერთად, ეს წიგნი არის დასტური ორი არქიტექტორის სათუთი და უანგარო მეგობრობისა.

ავტორი გივი ჯაფარიძის შემოქმედებით სამყაროში შეგვიძლია და წარმოგვიდგინა მისი ცხოვრებისა და მრავალმხრივი მოღვაწეობის სურათი, დაგვიხატა ჭეშმარიტი შემოქმედი და საინტერესო პიროვნება.

დღეს, როცა საოცრად გაღარიბებული, შებღალული და დაკნინებულია ქართული ენა, – გამაოცა თამაზ ნათიძის მდიდარმა, ლაღმა და მადლიანმა ქართულმა.

სტუდენტისთვის, მომავალი არქიტექტორისთვის ამ წიგნზე უკეთესს რას ინატრებდა კაცი. ჩემი მოკრძალებული თხოვნა და სურვილია: ეგებ მოხერხდეს, რომ ჩვენს მომავალ თაობას, სტუდენტთა დაინტერესებულ წრეს მიეცეს ამ წიგნის შეძენის შესაძლებლობა.

მანანა გიგინეიშვილი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.



არქიტექტორი გივი ჯაფარიძე

ერთი ამოსუნთქვით დაწერილი

ბატონ თამაზ ნათიძის მონოგრაფია „არქიტექტორი გივი ჯაფარიძე“ იმ წიგნთა კატეგორიას განეკუთვნება, რომელსაც ვერ მოსწყდები. იგი ერთი ამოსუნთქვითაა დაწერილი და ასევე იკითხება. ეს გარემოება განპირობებულია გივი ჯაფარიძის ამაღელვებელი ხელოვნებით და თამაზ ნათიძის განსაკუთრებული პროფესიონალიზმით, რასაც წერის მომხიბლავი მანერა ამშვენებს.

წიგნი ყოველმხრივ დროულად და მნიშვნელოვნად მიმაჩნია ქართული საზოგადოებისათვის. ბატონი გივი ჯაფარიძის ხელოვნების უმაღლესი დონის ფონზე, ბატონი თამაზ ნათიძე დიდი მოკრძალებით ეკცევა მკითხველს და შეჰყავს იგი არქიტექტურის ხელოვნების რთულ და საინტერესო ცნებებსა და კატეგორიებში. რაოდენ მარტივად და ნათლადაა წარმოდგენილი პოლიფონიური არქიტექტურის ცნების არსი; ნაგებობის, პეიზაჟის და არსებული არქიტექტურული გარემოს ურთიერთობის პრობლემა: ნაგებობის მოცულობის და ფუნქციური ურთიერთობის საკითხი. არქიტექტურულ მემკვიდრეობასთან ურთიერთობა და სხვა მრავალი აქტუალური პრობლემა, რომელშიც აღმოვაჩინეთ, რომ თურმე, არაფერი გაგვეგებოდა.

მეტად ფასეულია წიგნის საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი მნიშვნელობა. იგი გულმოდგინე მკითხველს სრულიად სხვაგვარად, პროფესიასთან მიახლოებით დაანახებს თბილისის მშვენიერებას და ნაკლოვან მხარეებს. ჩემი ღრმა რწმენით, საზოგადოების მასობრივი გაცნობისთვის აუცილებელია ამ წიგნის სავაჭრო ქსელში სარეალიზაციოდ გატანა.

ჯანგირ ელიაშვილი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

მოდერნისტი, მსოფლიო მოქალაქე

იშვიათია ნაშრომი არქიტექტურაზე, სადაც ასე საინტერესოდ წარმოჩნდება ალუზიები მუსიკასთან. ამ მხრივ უაღრესად მნიშვნელოვანია თამაზ ნათიძის მონოგრაფიის, „არქიტექტორი გივი ჯაფარიძე“ ორი თავი: „პოლიფონიური არქიტექტურა“ და „მუსიკალური პლასტიკა“. ამ ორ თავში გახსნილია კოდი მოარული აზრისა, რომ „არქიტექტურა არის გაყინული მუსიკა“.

წიგნი დაწერილია უმაღლესი პროფესიული პასუხისმგებლობით, არქიტექტურის იდუმალებაში ღრმა წვდომით და გივი ჯაფარიძის საჩინო თვისებების წარმოჩენით.

პროფესიულ ანალიზთან ერთად, წიგნის ავტორი სხვადასხვა რაკურსით გვაცნობს თავისი ნაწარმოების გმირს – როგორც რომანტიკოსს, პოეტსა და მუსიკოსს.

იშვიათია, რომ პროფესიონალი თავის კოლეგაზე წერდეს ესოდენ დიდი სიყვარულითა და პატივისცემით. მონოგრაფიიდან მოედინება საოცარი სითბო, სინატიფე, ნოვატორული სულისკვეთება და მასშტაბი, რაც გივი ჯაფარიძეს წარმოაჩენს 21-ე საუკუნის მოდერნისტად და, იმავდროულად, ქართული გენების მატარებელ მსოფლიო მოქალაქედ.

თავად ავტორიც გვესახება არქიტექტურის ღირსეულ მეხოტბედ, პატრიოტად, რომელსაც ნებისმიერ მკითხველამდე გასაგები ენით მიაქვს იმ სილამაზის განცდა, რასაც გივი ჯაფარიძე უშურველად გამოხატავს თავის მრავალფეროვან არქიტექტურულ, ფერწერულ და გრაფიკულ ნაწარმოებებში.

ნანა ქავთარაძე,
მუსიკოლოგი, კონსერვატორიის პროფესორი.

სამეცნიერო სივრცის უმნიშვნელოვანესი შენამატი

თამაზ ნათიძის წიგნი „არქიტექტორი გივი ჯაფარიძე“ უაღრესად საინტერესო, მრავალმხრივი შემოქმედის, არქიტექტორისა და მხატვრის გივი ჯაფარიძის ცხოვრებასა და შემოქმედებას ეძღვნება.

ავტორი შესანიშნავად წარმოაჩენს ბატონი გივის შემოქმედების მასშტაბურობას, ინტერესების ფართო დიაპაზონს. წიგნში წარმოდგენილია მისი მოღვაწეობის ყველა ასპექტი. გივი ჯაფარიძის მიერ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში განხორციელებული არქიტექტურული პროექტები, ფერწერა და გრაფიკა ავტორის მიერ მაღალ პროფესიულ დონეზეა გაანალიზებული. იგი ემოციურად, საოცარი სითბოთი გადმოსცემს იმ კულტურულ გარემოს, რომელშიც ყალიბდებოდა გივი ჯაფარიძე როგორც შემოქმედი და პიროვნება. თამაზ ნათიძე შესანიშნავად გვიხატავს მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის კულტურულ ატმოსფეროს. მკითხველის წინაშე იშლება საოცარი, განუმეორებელი ხიბლით აღსავსე, ამ პერიოდში მოღვაწე შემოქმედთა პორტრეტების გალერეა. უხვად ილუსტრირებული წიგნი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა შესრულებული. ნაშრომი არა მხოლოდ მონოგრაფიული ხასიათისაა, იგი ღირებულია ისტორიულ-მემუარული თვალთახედვითაც.

ორიგინალური და ცოცხალია ტექსტის აგების კომპოზიცია. დახვეწილი და რაფინირებულია წერის მანერა და სტილი. საკმაოდ რთული ანალიტიკური ტექსტი საოცარი ენობრივი და სტილური სიმსუბუქით არის წარმოდგენილი, რაც კიდევ უფრო ზრდის ფართო საზოგადოების ინტერესს მის მიმართ. **სამწუხაროდ, მცირე ტირაჟით გამოცემული წიგნი ვერ აკმაყოფილებს მისი გაცნობის ყველა მსურველს. აუცილებელია წიგნის მეტი ტირაჟით გამოცემა, ვინაიდან ეს ნაშრომი არის სახელოვნებათმცოდნეო და, ზოგადად, სამეცნიერო სივრცის უმნიშვნელოვანესი შენამატი.** იგი უაღრესად საჭირო და მნიშვნელოვანია სტუდენტ-ახალგაზრდობისთვის როგორც არქიტექტურის, ასევე ხელოვნების სხვადასხვა დარგისა და საისტორიო მეცნიერების სპეციალისტებისა თუ ფართო საზოგადოებისთვის.“

ირინე ელიზბარაშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი.

ეს წიგნი მისაწვდომი უნდა გახდეს სტუდენტებისთვის

ბატონ თამაზ ნათიძის მიერ მაღალი პროფესიონალიზმით, ერთი ამოსუნთქვით შექმნილ მეგობრის პორტრეტში, წიგნში „არქიტექტორი გივი ჯაფარიძე“ მკითხველი შეიგრძნობს მეგობრისადმი დიდ სითბოს, მისი წარმატებით სიამაყეს და აღტაცებას. ადამიანური დამოკიდებულების ეს ფორმა აკლია და სწყურია ჩვენს საზოგადოებას – ეს სულიერებასთან შეხებაა. სამხატვრი აკადემიის სტუდენტთა შორის ბატონი თამაზის გამორჩეულმა ავტორიტეტმა, ხელოვნებაში ყველა სიახლისადმი ახალგაზრდობის განსაკუთრებულმა მგრძნობელობამ განაპირობა დიდი ინტერესი წიგნისადმი, რომელშიც ასე მკაფიოდ იკითხება არქიტექტორ გივი ჯაფარიძის მასშტაბურობა და მისი შემოქმედების მრავალფეროვნება. სასურველია, რომ ეს წიგნი მისაწვდომი გახდეს სტუდენტებისთვის.

გელა ჯაფარიძე,
სამხატვრო აკადემიის პედაგოგი, რესპუბლიკის დამსახურებული არქიტექტორი. ღირსების ორდენის კავალერი;
ნინო დარახველიძე,
მეცნიერების დოქტორი.

საქართველო უნდა იცნობდეს თავის ღირსეულ შვილებს

საქართველო უნდა იცნობდეს თავის ღირსეულ შვილს – არქიტექტორსა და ფერმწერს – გივი ჯაფარიძეს, რომელიც 22 წელიწადი ნაყოფიერად და ნიჭიერად მოღვაწეობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, რუსეთში, და თამაზ ნათიძის თქმით, „გამარჯვებული დაუბრუნდა სამშობლოს“.

სწორედ ეს მიზანი დაისახა პროფესორმა თ. ნათიძემ, როდესაც შეუდგა მუშაობას მონოგრაფიაზე „არქიტექტორი გივი ჯაფარიძე“.

დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ თბილისის საზოგადოებამ შესანიშნავი საჩუქარი მიიღო.

მაგრამ იმის გამო, რომ იგი არ გატანილა წიგნების ბაზრობაზე, შეძენის მსურველთა მომატებულ ნაწილს ეს საჩუქარი არ ერგო. სამწუხაროა, რომ უამწიგნოდ დარჩნენ ახალგაზრდები, რაც მით უფრო დასანანია, რომ **მონოგრაფია გ. ჯაფარიძის შემოქმედების პროფესიული ანალიზის გარდა, შეიცავს მორალის, ეთიკური ქცევის, სტუდენტებისა და პედაგოგების კორექტული და კეთილგანწყობილი ურთიერთობების მაგალითებს და საინტერესო, ახალგაზრდული ცხოვრების ეპიზოდებს.**

ვიმედოვნებთ, რომ ესოდენ ავტორიტეტული გამომცემლობა, როგორიც არის კომპანია „მაგთი“ გაიზიარებს ჩვენს მოსაზრებას და მეორედ გამოსცემს პროფესორ თ. ნათიძის საინტერესო და აქტუალურ მონოგრაფიას „არქიტექტორი გივი ჯაფარიძე“, ამჯერად მისი რეალიზაციისთვის თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში.

ვახტანგ ხმალაძე,
საქართველოს პარლამენტის წევრი.

ხალხზე „მზრუნველი“ ხელისუფლება

ხელისუფლების ბოლოდროინდელმა განცხადებებმა თავისთავად წარმოშვეს კითხვა, რომელსაც არც დღეს, არც ხვალ და არც ზეგ პასუხი არ გაეცემა და არ გაეცემა იმიტომ, რომ ქართულმა აზროვნებამ სერიოზული ტრანსფორმაცია განიცადა ე.წ. დამოუკიდებლად ცხოვრების პერიოდში. კითხვა ასეთია – გაუჩნდება თუ არა სახელმწიფო მოხელეთა ღირმუცელობაში გადასულ მოთხოვნილებებს ზღვარი?

თუ დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით შევაფასებთ ვითარებას - ასეთი რამ, ტანჯულ საქართველოს სახვალიო ცხოვრებაში, ნამდვილად არ მოხდება და არ მოხდება იმიტომ, რომ „დამოუკიდებელმა“ არსებობამ, განსაკუთრებით საბაზრო ეკონომიკის ცუდად აღქმულმა წესებმა იმდენად გადააგვარეს ჩვენს წარმოდგენაში არსებული ისტორიული ქართული, უარესს რომ ვერ ინატრებდა ამ ქვეყნის მტერიც კი.

რას არ მოესწრო საქართველოს მოქალაქე განვლილი 23 წლის განმავლობაში – „პატრიოტულ ომებს“ თავისავე სისხლთან და ხორცთან, ქვეყნის მშობლიურ კუთხეებში თავისსავე სისხლის და ხორცის ძარცვა-გლეჯას, წამებას, კვლას, ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანთა გატაცებას, ხალხის მამასისხლად დაგროვილი საბანკო ანაბრების ხელისუფალთა მიერ მითვისებას, ხელისუფალთა აღვირახსნილობას, მათი უკანონო ქმედების ზეობას, განუკითხაობას, ნეპოტიზმს, რიგით თუ ელიტარულ კორუფციას. სხვაც ბევრი იყო სავალალო და თავისმომჭრელი, სრულიად შეუფერებელი წინაპართა ჰეროიკული ცხოვრებისთვის.

რამ და ვინ გამოიწვია ნეგატიური მოვლენების სრული „ბუკეტი“? დროის მცირე მონაკვეთში გაჭირდება ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, მაგრამ როგორც მთავარი თემიდან გამოყოფილს, ისე შევხედოთ ხელისუფალთა მოქმედებას.

ზემოთ მოყვანილ ყველა უბედურებაში რომ ხელისუფლების აქტიურობა ჩანს, ფაქტია. ყველა მათგანი მეტ-ნაკლებად კი არა, მეტად დამნაშავეა ქვეყნისთვის თავსდატეხილ უბედურებებში. ყველა მათგანი დაუსჯელად, ლაღად დაიარება ამ მიწაზე, ვინაიდან პასუხი არავინ მოსთხოვა. არავინ შეჰკადრა ეს როგორ ჩაიდინეო, ამიტომაც, ხალხის ანაბრების ყაჩაღები, დღეს, დიდ ბიზნესმენებად წოდებულნი, ჭკუას ასწავლიან ხალხს და ისინიც, ვითომც არაფერიო, უსმენენ მათ.

დაქცეულ-დამაქცევართა „შეხმატკბილება“ ბევრი რამით არის განპირობებული, უპირველესად ნიჰილიზმით და იმის განცდით (დაქცეულთა მხრიდან) ჩვენს ნათქვამს მაინც არაფერი მოჰყვებაო, რაც მართალია.

„დამოუკიდებლობის“ წლებში რაც მივიღეთ, თავისუფალი მედიაა, რასაც გინდა დაწერ, რასაც გინდა იტყვი, მკითხველს გულს მოფხან, მაგრამ საქმეს არაფერი ეშველება. „ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის“ – ბრძნული გამონათქვამი ზედგამოჭრილად მიესადაგება დღევანდელ ვითარებას. იწერება პრესაში, ითქმება ელექტრონულ მედიაში კრიტიკული, ხშირად ზეკრიტიკული, ხშირად თავისმომჭრელიც, მაგრამ თავმოჭრილი უიშვიათესი სანახავია.

დღევანდელობა სულაც არ ჰგავს საბჭოურ გუშინდელობას, როდესაც გაზეთში გამოქვეყნებული სტატია, მით უმეტეს კრიტიკული, სახელმწიფო დაწესებულების უსერიოზულესი განსჯის საგანი იყო. მახსოვს, როგორ გამოუყვანა წირვა თბილისის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელს, ერთობ პერსპექტიულ პარტიულ მუშაკს, გაზეთში გამოქვეყნებულმა კრიტიკულმა წერილმა თბილისის ყოფასთან დაკავშირებით. არადა სტატიაში მოყვანილი ნეგატიური ფაქტები დღევანდელობასთან შედარებით, მინდვრის ყვავილებად მოგეჩვენებათ.

ანდა გავიხსენოთ კრიტიკული სატელევიზიო გადაცემა „ოქროპირი“, კვირაში ერთხელ შიშის ზარს რომ სცემდა იმ მოხელეებს, ვინც არაკეთილსინდისიერად ეკიდებოდა დაკისრებულ მოვალეობას.

სხვაც ბევრია გასახსენებელი, მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს თემას, ანუ ხელისუფლების დამოკიდებულებას საქმისადმი და რაც მთავარია, ამომრჩევლისადმი. „დამოუკიდებლობის“ პერიოდში არაერთ სხვადასხვა სახის არჩევნები ჩატარდა, თუმცა, ამის მიუხედავად, არჩეულმა ვერა და ვერ შეიგნო, რომ არჩეულია და აირჩიეს იმიტომ, რომ მისი დაპირება სხვისას ამჯობინეს.

ვერც ის შეიგნო, რომ დანაპირებიდან რაღაც მაინც უნდა გააკეთოს. ხელისუფლებამ, ჩვენდა სამწუხაროდ, რაც კარგად შეიგნო, ის არის, რომ ხელისუფლებაა, თანაც მოჭარბებულად აღმატებულ ხარისხში და რომ არჩევის შემდეგ, ის არის ყველაფერი, ანუ ბატონ-პატრონი ქვეყნისა, ხალხისა, მისი ბედისა და ა.შ. ბატონ-პატრონი და არა დროებით მოსული შემსრულებელი – ხალხის დაქირავებული.

ხელისუფლებამ, განსაკუთრებით ამჟამინდელმა და გუშინდელმა, ევროპისკენ მიდრეკილმა და, როგორც თვითონ აცხადებს, ევროპული ღირებულებების მოტრფიალემ, ევროპული ფასეულობები მხოლოდ ვერბალურად გაიზიარა და არა საქმიანად. საქმიანობა კი გარკვეულწილად საქმის კეთებასაც ნიშნავს, თანაც იმ საქმის, რის გაკეთებასაც დაპირდი ხალხს.

თუ რამით მოსაწონია ევროპული პოლიტიკური ცხოვრება, უპირველესად გამჭვირვალე, დემოკრატიული არჩევნებით, გამარჯვებულის მიერ დაპირებების შესრულებით და თუ ეს არ მოხდა, ახალი ვადამდელი არჩევნებით, დამარცხებასთან შეგუებით და ა.შ.

ევროპაში, ნებისმიერი გამარჯვებული ხელისუფლება თავს უფლებას არ მისცემს, ისე უკმეხად მოიქცეს, როგორც ჩვენი. ნებისმიერი ევროპული ხელისუფლება ცოტას მაინც შეეცდება შეასრულოს ამომრჩევლისთვის მიცემული დაპირება და თუ ვერ ასრულებს, საყვედურებით, თითის ქნევით არ დატუქსოს ამომრჩეველი.

ამომრჩეველი არ დაუტუქსავსო, მეტყვიან. ვერ დაგეთანხმებით. ჟურნალისტმა, რომელიც სახელმწიფო კანცელარიის განცხადებით დაიტუქსა, პირადი ხუშტურის გამო კი არ ამხილა ხელისუფლება დანაპირების შეუსრულებლობაში, არამედ ამომრჩევლის უკმაყოფილება გააჟღერა. უკმაყოფილება ხელისუფლების უნიათო მუშაობის გამო.

არც ერთი ხელისუფლება არ უნდა ცდილობდეს ხალხთან ნიშნის მოგებითა და თითის ქნევით ლაპარაკს, მით უმეტეს ტყუილების კორიანტელის დახვავებას - თანაც „საამური“ საუნდტრეკის თანხლებით – რას გვერჩით, რასაც დავპირდით ხალხს, ყველაფერი შევასრულეთო.

როგორც ჩანს, ამის მთქმელი ხელისუფლება არც ქუჩაში დადის და არც რეალობა იცის, რაც არ არის გასაკვირი. ქუჩაში გავლის დრო საიდან ექნება, როდესაც კვირაში ოთხჯერ, თუ მეტად არა, უცხოეთშია. ისეთი შთაბეჭდილება რჩება – ეს ხელისუფლება იქ მუშაობს, აქ ხანმოკლე მივლინებით ჩამოდის და დიდი-დიდი რა მანძილსაც ის ფარავს ფეხით – პერსონალური ავტომანქანიდან კაბინეტამდეა და უცხოელებთან ლანჩებზე და სადილებზე დასასწრებად რომელიმე „მარიოტში“ ან ეგზოტიკურ ქართულ რესტორანში ფეხით შესვლა. ავტომანქანით რომ შეიძლებოდეს სასტუმროს „ვესტიბიულში“ შეჯირითება, ალბათ, ფეხს არავინ გადმოდგამდა პერსონალური ტრანსპორტიდან.

საქართველოს ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ ყველა დანაპირები შეასრულა და ვერ გაუგია, რატომ არის ხალხი უკმაყოფილო.

არადა, საქართველოს მოსახლეობა ისეთია, მცირედის შემთხვევაშიც კმაყოფილია და მეტს არ მოითხოვს – უნდა გავუგოთ, ყველაფრის ერთბაშად გაკეთება ძნელია ან ვაცალოთ, ისწავლიან და გააკეთებენო. სრული ჭეშმარიტებით შეიძლება ითქვას, თუ ხელისუფლება ვერბალურად მაინც ევროპისკენ იქაჩება, ხალხი, იმავე ხელისუფლების გამოისობით, ჭურშია. ჭურში რომ არ იყოს, არ იტყოდა – დავაცადოთ, გაიზრდებიან და ისწავლიანო.

ხელისუფლება

ხელისუფლებაში მოსული საქვეყნო მუშაობას კაბინეტში არ სწავლობს, მას ნასწავლი, გათავისებული უნდა ჰქონდეს მცირედი ნიუანსიც, ცხოვრების გზაზე გამოცდილი. რა ცხოვრებისეული გამოცდილება უნდა ჰქონდეს უმაღლესდამთავრებულ და სადღაც უცხოეთში მოკლე კურსებგავლილ მინისტრის მოადგილეს, მინისტრს, ვიცე-პრემიერს ან პრემიერს? მარტო უცხო ენის ცოდნა გამოცდილებას ვერ შესძენს თინეიჯერ მოხელეს.

დღევანდელ ხელისუფლებაში არიან ისეთებიც, უცხოეთში რომ მსახურობდნენ, თუმცა, მათი ქართულ ცხოვრებაზე მორგება ჭირს და იმიტომ, რომ იქაურის ზედაპირული გადმოღებით, ქართულ რეალობაში გამოყენებით დიდი ვერაფერი იცვლება. გარდა ამისა, ევრო-ატლანტიკური „წყალდალეულები“ დღესაც იქ ცხოვრობენ, იქაურით სულდგმულობენ და ერთი სული აქვთ ხელსაყრელ დროს იქ გავარდნენ.

ამ კატეგორიამ, ხელისუფლებაში ყოფნით, საკუთარი ცხოვრება რომ მოიწყო, ფაქტია, თან იმას გვაყვედრიან, „იქ“ სამჯერ მეტი ხელფასი მქონდაო. ამის მთქმელს ავიწყდება იმ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პირობები, რომლის ჩვენთან შედარება აუცილებელია, თუნდაც მსგავსი განცხადების გაკეთების წინ, რომ მავანი მოხელე ბრიყვად არ წარმოჩნდეს ხალხის თვალში.

აი, რას აცხადებს იუსტიციის მინისტრი პრემიების გაცემის თაობაზე: „ის, საჯარო მოხელეები, რომლებიც ჩემთან მუშაობენ, არიან კვალიფიციურები, როგორც კი მათ არ ექნებათ ადეკვატური ანაზღაურება, გადავლენ კერძო სექტორში. ძლივს ვახერხებთ, კონკურენცია გავუწიოთ კერძო სექტორს, ამიტომ ის, ვინც იმსახურებს, უნდა ჰქონდეს პრემია“.

ქალბატონ წულუკიანს, როგორც თვითონ ამბობს, ხელფასი 5000 ლარი ჰქონია. დარწმუნებული ვარ, მის თანამშრომლებს 500 ლარზე გაცილებით მეტი ხელფასი ექნებათ. ასე, რომ შიმშილობის ზღვარზე ცხოვრებისგან, როგორც პენსიონერები ან „მაღალხელფასიანი“ (600 ლარი) კერძო სექტორის მუშაკები, დაზღვეულები იქნებიან.

მინისტრს, როგორც ჩანს, თავი დღესაც სტრასბურგში ჰგონია, თორემ იმას მაინც არ იტყოდა, მაღალი პრემიებით ვაკავებ თანამშრომლებს, წინააღმდეგ შემთხვევაში კერძო სექტორში გადავლენო. ნეტავ, რომელი კერძო სექტორი აქვს მხედველობაში?

აქაური კერძო სექტორი იქაური არ არის და არც მრავალრიცხოვნობით გამოირჩევა, თანაც რახანია ნათესავ-მეგობრებითაა შევსებული. ასე რომ არ იყოს, მართლაც გაჭირდებოდა სახელმწიფო მოხელეების სამსახურში დაკავება. კერძო სექტორში არათუ რაიმე თანამდებობას, დამლაგებლობასაც ვერავინ ეღირსება. ჩემს ირგვლივ მყოფი ადამიანები, მეტწილად ახალგაზრდები, თანაც კვალიფიციურნი, უსაქმურად არიან და არა იმიტომ, რომ მუშაობა ეზარებათ, არამედ დაბალხელფასიანი სამუშაოს შოვნაც კი შეუძლებელია.

მინისტრმა ის მაინც უნდა იცოდეს, რა ვითარებაა ქვეყანაში, რატომ არის ესოდენ დიდი უმუშევრობა, განსაკუთრებით 30-60 წლის (ზემო ასაკზე აღარაფერს ვამბობ) ადამიანებში, რატომ მიდის ჯანღონით სავსე ქალი თუ კაცი უცხოეთში შავი სამუშაოს საკეთებლად. რომ იცოდეს, თავს უფლებას არ მისცემდა, ეთქვა შემდეგი: „საჯარო სამსახურში თუ ხელფასები არ იქნება ადეკვატური, თუ საჯარო მოხელეები, მათ შორის პოლიტიკური თანამდებობების პირები, არ მიიღებენ პრემიებს, საჯარო სამსახური ძალიან მალე გახდება უინტერესო და მას დატოვებენ კომპეტენტური კადრები“.

რომ იტყვიან, შენს პირს შაქარი. თუ დატოვებენ უკეთესი იქნება, ვინაიდან სახელმწიფო სამსახურში მარტო ხელფას-პრემიისთვის მისული მავანი დიდი ვერაფერი შენაძენი იქნება სახელმწიფო სამსახურისთვის. სახელმწიფო სამსახურს სულ სხვა შემართება სჭირდება – წინათ პატრიოტიზმს რომ ეძახდნენ.

სწორედ იმ პატრიოტიზმმა ააშენა ქვეყანა, შექმნა სოფლის მეურნეობა და მრეწველობა, მეცნიერება და ხელოვნება, დაიცვა ქვეყანა ფაშისტური ჭირისგან, დაიპყრო კოსმოსი. არ მითხრათ, ისინი მონები იყვნენ, ეშინოდათ და ხმას ვერ იღებდნენო. სხვა მენტალიტეტი იყო, სადაც სახელმწიფო საქმიანობა გაცილებით მაღლა იდგა, ვიდრე პირადი ყოფის მოწესრიგება.

მაშინ რომ ისე ეფიქრათ, როგორც დღევანდელი ხელისუფლება ფიქრობს, არც რუსთავის მეტალურგიული კომბინატი იქნებოდა, არც ავიამშენებელი და ჩარხმშენებელი ქარხნები, არც მეტრო და არც მეცნიერებათა აკადემია, არც ქართული კინემატოგრაფი და არც სახელგანთქმული ქართული თეატრები. ერთი სიტყვით, იქნებოდა ისეთი ქვეყანა, როგორიც დღეს არის – ერთი მუჭა მდიდრებით და სანაგვეში ჩაყუდებული ხალხით.

მინისტრის საყურადღებოდ: საზღვარგარეთ, წარმატებულ ქვეყნებში კერძო სექტორში მომუშავეებს გაცილებით მეტი ანაზღაურება აქვთ, ვიდრე სახელმწიფო ორგანიზაციებში. იქ, იმიტომ მიდიან სახელმწიფო სამსახურში, სულით მოწადინებული არიან იმუშაონ ქვეყნისთვის. აქ – შებრუნებითაა და ამიტომაც თავს იკლავენ საჯარო სამსახურში, პარლამენტში, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში მოხვედრისთვის.

ყველას უნდა მაღალი ხელფასი და პრემია, მით უმეტეს, როდესაც მომწუსხველი მაგალითებია თვალწინ, თუნდაც ასეთი: თავდაცვის მინისტრი ხელფასზე დანამატის სახით 4 335 ლარს იღებს. მაგრამ ეს არ არის ერთადერთი და უკანასკნელი დანამატი, მას სხვაც ემატება, მაგალითად, საკლასო ჩინის – 1239, სტაჟის – 836, საიდუმლოს - 531. გასულ წელს ალასანიამ სახელფასო დანამატის სახით 83 076 ლარი მიიღო, მაგრამ მარტო ალასანიამ?

14 სამინისტრომ, თანამდებობის პირებზე პრემიის სახით, საერთო ჯამში 5 729131 ლარი გასცა, ხოლო სახელფასო დანამატის სახით 3 135 038 ლარი.

ერთ მილიონზე მეტი პრემია გაიცა საგარეო საქმეთა სამინისტროში – სახელმწიფო ორგანოში, რომლის საქმიანობაში ფართო საზოგადოება აბსოლუტურად გაურკვეველია. მაინც რა დიპლომატიური წარმატება იყო ქვეყანაში, რომ სამინისტროს მუშაკების „მუყაითი“ დიპლომატიური საქმიანობა ესოდენ ძვირად დაფასებულიყო?

წარმატებაში თუ ის იგულისხმება, რომ ხელს მოვაწერთ ასოცირებული წევრობის ხელშეკრულებას, დიდი ვერაფერი წარმატებაა, რამეთუ ძალისხმევა მეტადრე ევროკავშირის მხრიდან ფიქსირდება, ვიდრე თბილისიდან. არავითარი ასოცირებული წევრობა არ იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო ევროკავშირის პოლიტიკური ინტერესი და ეს ინტერესი რუსეთის ფაქტორით არის გამოწვეული.

ბრიუსელმა, რომელმაც ობიექტური მიზეზების გამო, რუსეთს ხასიათი ვერ გაუფუჭა, ნატოს აღმოსავლეთის გაფართოებით, სხვა გზას დაადგა, რასაც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების რუსეთის ორბიტიდან მოწყვეტა და ევროკავშირის ასოცირებული წევრობის უღლის დადგმა ჰქვია.

მოლდოვა, საქართველო და უკრაინა, განსაკუთრებით საქართველო ასოცირებულ წევრობას თავიანთ მუყაითი, დიპლომატიურ მუშაობას კი არ უნდა უმადლოდნენ, არამედ გეოპოლიტიკურ მდგომარეობას და, რაც მთავარია, რუსეთს! არ იქნებოდა ევროპის მეტოქე რუსეთი და არ იქნებოდა ასოცირებული წევრობა. ასე რომ, ტყუილად აბრიყვებს საგარეო უწყება საზოგადოებას, რომ ზღვარგადასული პრემიები კარგი მუშაობისთვის არის გაცემული.

ხელისუფლებაც ამას ჰქვია. რომ იტყვიან – ჯერ თავო და თავო, შემდეგ ცოლო და შვილოო – ისეა საქმე. ხალხზე მზრუნველი ხელისუფლება ხომ არ დარჩება მშიერი? ბოლოს და ბოლოს ხომ არ უნდა დავობლდეთ?!

არ ჰგვანან ამ ქვეყნის პოლიტიკოსები სტრატეგიული პარტნიორის ყოფილ პრეზიდენტ კარტერს, რომელმაც ზამთარში, ენერგეტიკული კრიზისის დროს, თეთრ სახლში ტემპერატურა 18 გრადუსამდე დასწია.

ხელისუფლება, რომელიც ესოდენ დიდ ხელფასებს, ხელფასზე დანამატებს და პრემიებს იღებს, ნაცვლად იმისა, დღენიადაგ ბოდიშს იხდიდეს და მონანიებით თავს ურტყამდეს მიწას, აქეთ გვედავება – დაუნახავები ხართ, თორემ სულ მადლობებით აგვავსებდით ყველა დანაპირების შესრულებისთვისო.

მაინც რა დანაპირების შესრულებაზეა საუბარი? ერთ-ერთმა ამ ხელისუფლების „ფანმა“ – ბევრი რამ გაკეთდაო და მაგალითად მოიყვანა შვილის გაჩენისთვის გამოყოფილი თანხები, აგრეთვე სოფლის მეურნეობისთვის გაწეული ფულადი დახმარება და სხვა. ცხადია, მნიშვნელოვანი რამ გაკეთდა, მაგრამ ყოველივე ზღვაში წვეთია, წელიწადნახევრიანი მუშაობის პერიოდთან შედარებით.

თუ ეს ხელისუფლება თვლის, რომ მისი ქვეყნის სათავეში ყოფნა 2012 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო და აღარასოდეს დამთავრდება (ასე ეგონა წინა ხელისუფლებასაც), მაშინ ასაჩქარებელიც არაფერი აქვს. მაგრამ რეალურად მას თითზე ჩამოსათვლელი წლები აქვს დარჩენილი და თუ არ იჩქარა, ისიც ისეთივე პოლიტიკურ სანაგვეზე აღმოჩნდება, როგორც წინა.

ჰამლეტ ჟიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

რავა, კიდო გვატყუებენ, კაცო?

იმ დღისითაც, როგორც ნაწვიმარზე იცის ხოლმე, მზემ მოულოდნელად გამოაჭყიტა და ასფალტის მცხუნვარებას გაქცეულმა ვერის ბაღში მხრეებგაშლილი ჭადრის ჩრდილს შევაფარე თავი. მალე ჩემს გერდით სკამზე ორი მოხუცი ჩამოჯდა, რომელთა საუბრიდანაც ჩანდა, რომ იმათგან ერთი უდავოდ გურული, ხოლო მეორე იმერელი უნდა ყოფილიყო.

— გუშინ ბაღში არ გამოჩენილხარ, — ეუბნება გურული იმერელს, — მთელ დღეს სად ბაბუაჩემთან იყავი დაკარგული, ძამა?

— ჰო, მგონი ბაბუაშენი იყო „ავერსში“, აფთიაქარს ამუნათებდა, არა გრცხვენიათ, ხალხო, ჩემს დროს აფთიაქში წამლები ჩალის ფასი ღირდა, ახლა რა ცეცხლი წაგიკიდებიათო.

— რავა, ბაბუჩემსაც ეძვირა ახლანდელი წამლები თუ? — გაიკვირვა გურულმა, — აკი გაიაფდა აი წამლებიო?

— ვინ თქვა მაგი, ბოშო? — შეიცხადა იმერელმა.

— ვინ იტყოდა, გუშინ ტელევიზორში ჯანდაცვის მინისტრისგან ჩემი ყურით მოვისმინე.

— ჰოდა, ვერ მოგისმენია კარგად. ახლა ძველი დრო კი აღარ არის, ვინ ეკითხება მინისტრს, ბოშო, ბალი ათი შაურიაო?

— აბა, ვის ეკითხება, ძამა, შენა?

— არც მე და არც შენა, მაგი საერთოდ არაა ჩვენი საქმე, — იცილებს პასუხისმგებლობას იმერელი.

— მაშინ შენი საქმე რავაა, ეგ მაინც მითხარი, — არ ეშვება გურული.

— არც ეგაა შენი საქმე, — კატეგორიულია თანამოსაუბრე.

— კაი, ბატონო, დავსხდეთ აჰა ასე პირგამოკერილები და ვისმინოთ ტელევიზიით გამგებლობისა და მერობის კანდიდატთა სისულელეები?

დუმილი.

— სისულელეებს ვინ ჩივა, ძამა, აშკარა ტყუილებს გვასაღებენ.

— რავა, კიდო გვატყუებენ, კაცო? — წამოენთო იმერელი.

— გვატყუებენ რომელია, მაგათ ჭკუით სინგაპური უკვე აგვაშენებინეს და ახლა ცხოვრების ევროპულ ყაიდაზე გადავყევართ.

— ხი, ხი, ხი... — ხითხითებს იმერელი.

— რავა, სასაცილოა, ძამა, აი ამბავი?

— ცქმუტავს სკამზე გურული.

— რატომაც არა, სინგაპურთან დაკავშირებით სააკაშვილის მხიარული როჟა გამახსენდა.

— სააკაშვილი რად გინდა, შე კაცო, ახლა ვითომ ნაკლები მიუნჰაუზენები გვასხედან თავზე?

— ხი, ხი, ხი... — ისევ ახითხითდა იმერელი.

— რავა, კიდო გაგახსენდა ვინმე? — დაინტერესდა გურული.

— ჰო, ამას წინათ რომელიღაც შოუში ერთმა ტიპმა ხადურზე იღადავა.

— რაო, არ მევასება ხადურიო?

— აქამდე მეგონა, რომ ტყუილს მოკლე ფეხები ჰქონდა, თურმე ამასთან ერთად პუტკუნა ლოყები და ფუმფულა უკანალიც ჰქონიაო.

— ხადურის ტყუილებს რა დაითვლის, ძამა, კონკრეტულად შენ რომელ ტყუილზე მეუბნები?

— აი იმაზე, პენსიებთან დაკავშირებით რო გაგვაცურა.

— შენ რაღაც გეშლება, ძამა, პენსიები ხო გაგვიზარდა?

— რა გაგვიზარდა, ბოშო, გვპირდებოდა, ამჟამინდელი საარსებო მინიმუმის ტოლა პენსიებს მოგცემთო და სინამდვილეში შევარდნაძის დროინდელი მინიმუმისტოლა პენსიები ძლივს გაიმეტა.

— შენ ეგეც გეცოდინება დღევანდელი საარსებო მინიმუმი რას უტოლდება?

— ამას წინათ ხო დაიანგარიშეს — 309 ლარი გამოვიდა!

— შენც ამბობ რაღა, მაგდენი რო ჩვენთვის მოეცათ, საპრემიოდ და სამუცლაოდ თავად რაღა დარჩებოდათ?

— ვითომ ამ არჩევნებით მაინც გვეშველება რამე? — დაინტერესდა იმერელი.

— აბა რა გითხრა, ძამა, მეგონა „ოცნების“ მოსვლის შემდეგ ნამდვილი ევროპული არჩევნები გვექნებოდა, მაგრამ შენც არ მომიკვდე.

— რას გულისხმობ?

— იმას, რომ არჩევნები თავის ნებაზე რო მიეშვათ, მაი მარგველაშვილი პირველივე ტურის შედეგებით პრეზიდენტი ვერ გახდებოდა და ვერც ბაქრაძე გამოკრავდა ხელს მეორე ადგილს.

— გინდა თქვა, რომ არჩევნები გააყალბეს?

— მე რა უნდა ვთქვა, ძამა, მთელი საქართველო ამას ჩივა.

— რას ჩივა?

— რასაცა გეუბნები. ბევრმა გული აიცრუა, ამბობს, რა აზრი აქვს ჩემ არჩევანს, ვინც თავად უნდათ, მაინც ის გამოვა გამარჯვებულიო.

— რა ვიცი, მერობის კანდიდატები ბრტყელ-ბრტყელ დაპირებებს კი იძლევიან და. შენ გჯერა მაგ მელიას დაპირებებისა, წინ უგულავა რო წაუმძღვარებია და ახალ-ახალი იდეებით გვმოძღვრავს.

— მე მელიებისა და ტურებისა, ჩემო ძამია, კაი ხანია აღარაფერი მჯერა. აბა როგორ უნდა ვირწმუნო მაგათი, როცა მეუბნებიან — აქციზს გავაუქმებთ, ბენზინსა და გაზს გავაიაფებთ, შემოვიღებთ ფიქსირებულ გადასახადებს და მეწარმეობას ავაყვავებთო.

— იქნებ მართლა გააკეთონ?

— კარგი ერთი, რის გამკეთებლები არიან, სულ რო წელში გადაწყდნენ ამას მაინც ვერ შეძლებენ, იმ უბრალო მიზეზისა გამო, რომ მათ უფლება-მოვალეობას აღემატება. მაგათ თუ საქმის კეთება უნდათ, ის ურჩევნიათ, იმას შეგვპირდნენ, რის შესრულებაც რეალურად შეუძლიათ.

— მერე ამდენი არ იციან?

— იციან, რავა არ იციან, მაგრამ გვაბოლებენ. რაკი ერთხელ გაუვიდათ, მეორედაც უნდათ, რომ გაგვაცურონ.

— გამოსდით კიდეც. ხშირად მიფიქრია, ეს მთავრობა (რა თქმა უნდა, წინაც) მგონი იმიტომ მოვიდა, რომ მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე იზრუნოს. ვინცხა ციხის თანამშრომელი იმდენ პრემიას რო გამოუწერს თავის თავს, რამდენსაც შენ და მე, ერთად აღებული, პენსიას ორი წელიწადშიც ვერ მივიღებთ, საქმეა ეს? არადა, გახსოვს, რამდენჯერ გვაქვს აწეული ბიძინას სადღეგრძელო?!

ოტია ჩართოლანი

◎ ბაზარი

სამკურნალოს ნაცვლად საფრთხის შემცველი მედიკამენტები

ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ ჟურნალისტებთან ერთ-ერთი შეხვედრის დროს განაცხადა, რომ ფარმაცევტულ ბაზარზე ევროპული კომპანიები ნაკლებად შემოდიან, რადგანაც არ არსებობს რეგულაციები. ვცდილობთ, ეს საკითხი სწრაფად და ეფექტიანად მოვაგვაროთო, თქვა მინისტრმა.

მისი სიტყვები განავრცო არასამთავრობო ორგანიზაცია „ჯანმრთელი სამყაროს“ დამფუძნებელმა ზურაბ ფუტკარაძემ, იგი ამბობს, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაციით, ქვეყანაში შემცირდა დასავლური წარმოების მედიკამენტების შემოსვლა. თუ ადრე ევროპული ნაწარმი ჩვენი ბაზრის 80-90 პროცენტს იკავებდა, ამჯერად იმძლავრეს აზიურმა (ძირითადად პაკისტანი, ინდოეთი) ფირმებმა. მათ უკვე ფარმაცევტული ბაზრის 40 პროცენტი აქვთ დაპყრობილი. ევროკავშირის ქვეყნებსა და აშშ-ში მოქმედებს რეგულაციები, რომლებიც ავალდებულებენ მწარმოებელს, უფრო ხარისხიანი წამლები დაამზადონ. აღნიშნული ნაწარმი არ გვაძლევს ეჭვის საბაბს, რადგანაც ხარისხის კონტროლის მექანიზმი იქ ძალიან მაღალია, მიაჩნია ზ. ფუტკარაძეს.

ექსპერტთა, სპეციალისტთა, ჯანდაცვის სფეროს მუშაკთა დასკვით, საქართველო მყარად რჩება უხარისხო მედიკამენტების გასაღების ბაზრად. მათი აზრით, ჯანდაცვის პროგრამები ეფექტიანი ვერ იქნება, თუკი მედიკამენტებზე არ დაწესდა ხარისხისა და ეფექტიანობის მკაცრი კონტროლი. გამოცდილი ხალხი, იმასაც ამბობს, რომ საქართველო ევროპულ სივრცეში ერთ-ერთი მოწინავეა მედიკამენტების სიძვირით, თუმცა ისინი თვლიან, რომ მყიდველი პაციენტი მაღალ ფასს უხარისხო მედიკამენტში იხდის და ხშირად მისი ჯანმრთელობა განკურნვის ნაცვლად უარესდება. ექიმ მერი რევიას სიტყვებით, პაციენტი თავისი ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი მედიკამენტებისაგან უნდა დავიცვათ.

ფუტკარაძე განაგრძობს წამლების უხარისხობაზე საუბარს, და ამჯერად აქცენტს აკეთებს მათ ეფექტიანობაზე. იგი ამბობს, რომ ძვირადღირებული პრეპარატი შეიძლება ნაკლებ ეფექტიან ან სულაც უკუჩვენების მომცემი აღმოჩნდეს. ამის გამო მას გადაუდებელ ამოცანად მიაჩნია მათზე კონტროლის გამკაცრება, რაც უნდა აისახოს წამლების შერჩევით შემოწმებაში.

ექიმები ჯანდაცვის სამინისტროს უფრო მეტად გააქტიურებას მოუწოდებენ, იმ მოტივით, რომ პროგრამებზე ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებიდან, რაღაც ნაწილი უხარისხო მედიკამენტების გამო წყალში გადაყრილი არ აღმოჩნდეს. ამ მხრივ პრეტენზიები აქვთ ექსპერტებსა და სპეციალისტებს. მათ მიაჩნიათ, რომ ერთი წელი საკმარისი დრო იყო, რომ სამინისტროს შეემუშავებინა ცალკეული სტრატეგიული სეგმენტებისა და სტრატეგიული ინსტრუმენტების კონცეფციები. მათივე განმარტებით, საქართველოში უხარისხო მედიკამენტების მოზღვავება წინა ხელისუფლების მიერ დანერგილი ულტრალიბერალური მიდგომის შედეგია.

ექიმი მერი რევიასთვის გაუგებარია, პრაქტიკულად როგორ მოხერხდება ღია ბაზარზე არაეფექტიანი და უხარისხო პროდუქციის შეკავება, რადგანაც არსებული რეგულაციები ფორმალურია და არ გამოდგება წამლების უხარისხობისა და ეფექტიანობის რეალური შეფასებისთვის.

საქმეში ჩახედული ხალხი განფასების ერთიან სისტემაზეც საუბრობს, ისინი იმედოვნებენ, რომ სამინისტრო ამაში ფასრეგულაციებს არ გულისხმობს, ვინაიდან მათი აზრით, ეს გახდება კორუფციის ეპიცენტრი. სპეციალისტები, ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ხარისხის კონტროლის სისტემა ვერ გაზომავს ეფექტიანობას და ამისთვის სხვა მეთოდები და სისტემებია საჭირო.

სპეციალისტთა გარკვეული წრე თვლის, რომ სამინისტრო მიდრეკილია ბაზრის მართვის კომანდიტური ტექნოლოგიებისკენ. მათთვის ეს გასაგები და მისახვედრია, რადგანაც მართვის ამგვარი სისტემა მარტივი და იაფია. ის არ საჭიროებს ჯანდაცვის სამინისტროს მოხელეთა დიდ კვალიფიკაციას და პროფესიონალიზმს. მაგრამ, აღნიშნავენ ექსპერტები, ეს არის არამდგრადი მოდელი, მიკერძოებული ადმინისტრირების მაღალი რისკით, რასაც ისინი საბჭოთა წარსულს მიაკუთვნებენ.

აფასებენ რა დღვანდელ მდგომარეობას, სპეციალისტები და ექსპერტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ განვითარებული ქვეყნებისაგან განსხვავებით ჩვენთან მედიკამენტები დაკავშირებულია ბიზნესთან. ყიდვა-გაყიდვა, აი, ამ სფეროში დასაქმებულთა ძირითადი ამოცანა — ასკვნიან საქმეში ჩახედულნი. ეხებიან რა საქართველოში წარმოებულ მედიკამენტებს, ისინი აღნიშნავენ, რომ სამამულო წარმოების წამალი შეიძლება იყოს ხარისხიანი ან პირიქით. მათზე არავითარი კონტროლის მექანიზმი არ მუშაობს და თუ მუშაობს, ის პირობითია. მათი აზრით, ქვეყანაში ხდება საზღვარგარეთ საეჭვო ვითარებაში წარმოებული პრეპარატების შემოტანა, „დაბლისტერება“ და შეფუთვა. ექსპერტები, ამას ადგილობრივ წარმოებად არ მიიჩნევენ და თვლიან, რომ მასში დიდია კრიმინალის ელემენტები. სპეციალისტები ამბობენ, რომ ქართული წარწერა — „დაბლისტირება“, არ ნიშნავს, რომ პრეპარატი მართლაც ქართულია.

სანამ სამინისტრო ჩამოყალიბდება, ყველა მხრიდან შემოვა გაურკვეველი ხარისხისა და წარმომავლობის მედიკამენტები, რადგანაც არ არსებობს კონტროლის არანაირი მექანიზმი. ფარმაცევტული ბაზარი სოფლის მეურნეობის ბაზრის სტილით მუშაობს: ვისაც რა უნდა, იმას აკეთებს და ყიდის, — ამტკიცებენ საქმეში გათვითცნობიერებულნი.

ზაზა ბილიხოძე

◎ კვლევა

ხადური გვატყუებს?!

„ოცნება არ მუშაობს“! – ნაციონალური მოძრაობის მიერ გამოგონილი ეს ანტისლოგანი ბოლო პერიოდში კვლავ აქტუალური გახდა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ოცნება ძალიან კარგად მუშაობს... ოღონდ სათავისოდ!

2014 წელს, გასულ წელთან შედარებით, 137,6 მილიონი ლარით გაიზარდა შრომის ანაზღაურების ფონდი. გაზრდილი სახსრებით მოიმატა პარლამენტართა საშუალო ხელფასმა (25 პროცენტით), სახელმწიფო აუდიტის სამსახურში საშუალო ანაზღაურება 62 პროცენტით გაიზარდა, ეკონომიკის სამინისტროშიც – 53 პროცენტით, კულტურის სამინისტროში – 27 პროცენტით, 67 პროცენტით – საერთო სასამართლოებში, ხელფასები გაეზარდათ საკონსტიტუციო და უზენაეს სასამართლოში დასაქმებულებს, დაზვერვის სამსახურს... მთელი 89 პროცენტით გაიზარდა ხელფასები იუსტიციის უმაღლეს საბჭოში.

მაგრამ ბიუჯეტის მონაცემებში არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი პენსიების ზრდაზე, პედაგოგების ხელფასების ზრდაზე, სოციალურ შემწეობებზე. ნუთუ, ეს იყო ჩვენი ოცნება?!

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრმა გუშინ საკმაოდ ყურადსაღები ანგარიში გამოაქვეყნა, რომელსაც ერთმნიშვნელოვნად შეიძლება მოკლე სათაური გაუკეთო – ხადური გვატყუებს! ეს რომ ასეა, ზოგადი ეკონომიკური ფონით თუ ვიმსჯელებთ, ადვილი მისახვედრია, თუმცა, თუკი დეტალებს ჩავეძიებით, მონაცემები და ციფრები ასე გამოიყურება.

2013 წელს საქართველოს მთავრობის მიერ დაგეგმილი ეკონომიკური ზრდის 6-პროცენტიანი მაჩვენებელი გაირღვა და მხოლოდ 3,2 პროცენტით შესრულდა. ამაზე დიდი გავლენა იქონია არასტაბილურმა პოლიტიკურმა ვითარებამ, დაკრედიტების ძალიან დაბალმა დონემ, ინფრასტრუქტურული ხარჯების დაფინანსების შესუსტება-შეფერხებამ, სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების ნაწილში წარმოქმნილმა დანაკლისმა, რომელმაც 632 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა.

ამაზე ცოტა ვრცლად: გადასახადების მობილიზებაში შექმნილი დანაკლისი წლის ბოლოს არ დამდგარა. თუმცა კი, რეალურად თავდაპირველ დაგეგმილ მაჩვენებელთან მიმართებაში მთელი წლის განმავლობაში დანაკლისით სრულდებოდა. პარლამენტისთვის წარდგენილ მაჩვენებლებში გადასახადების ნაწილში I კვარტალში – 100,2 პროცენტი იყო ნაჩვენები, 6 თვეში – ასევე 100,2 პროცენტი, ხოლო 9 თვეში – 100,1 პროცენტი. ანუ ერთი შეხედვით ბიუჯეტს პრობლემა არ უნდა შექმნოდა. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ყოველ საანგარიშო კვარტლის დასრულებამდე კვარტალური გეგმების კორექტირება ხდებოდა. კერძოდ, ფინანსთა მინისტრის 31 დეკემბრით ბრძანებით, 2013 წლის I კვარტლის გეგმა განისაზღვრა 1 636,9 მილიონი ლარით, თუმცა, ფაქტობრივად შესრულდა მხოლოდ 1 553,5 მილიონი. მაგრამ კვარტლის მიწურულს ფინანსთა მინისტრმა გამოსცა ახალი ბრძანება და გეგმა შეამცირა – 1 550,1 მილიონი ლარით. შესაბამისად, ნაცვლად იმისა, რომ ბიუჯეტის შესრულება გადასახადების ნაწილში დაფიქსირებულიყო 94,9 პროცენტი, პარლამენტში წარდგენილი ინფორმაციით, შესრულება განისაზღვრა – 100,2 პროცენტით. ანალოგიური მოხდა დანარჩენი კვარტლების „შესრულების“ შემთხვევაში. ანუ გამოდის, რომ ნოდარ ხადური პარლამენტს სრულიად ურცხვად ატყუებდა.

აღმასრულებელ ხელისუფლებას მოუწევს ამაზე პასუხის გაცემა

ამასთან დაკავშირებით პარლამენტარმა **ვიქტორ დოლიძემ** ასეთი კომენტარი გააკეთა: **„ამ საქმის სპეციალისტი არ გახლავართ, მაგრამ ძნელი მისახვედრი არ არის, რომ თურმე მთავრობა არასწორ ციფრებს გვაწვდიდა. 2013 წელი ზოგადად რთული იყო ეკონომიკისათვის, თუმცა, ეს უფლებას არ გვაძლევს, თვალი დავხუჭოთ. ფინანსთა სამინისტროსთან მოგვიწევს კონსულტაციები: რას გვაწვდიან, რა მივიღეთ, რა არის რეალობა... ჩვენი ვალდებულებაა, კითხვები დავსვათ, ხოლო აღმასრულებელ ხელისუფლებას აუცილებლად მოუწევს ამაზე პასუხის გაცემა“,** – აღნიშნა მან.

თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ბიუჯეტის ეფექტიანობის შესწავლა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პირდაპირი ვალდებულებაა. როგორც ეკონომიკური კვლევის ცენტრში აცხადებენ, ეს ორგანიზაცია 2012 წლიდან გადამზადებატრენირების რეჟიმში იმყოფება და მთავრობის საკონტროლებლად თითი არ გაუნძრევია. ყოველ შემთხვევაში მსგავსი სახის დოკუმენტები არ გამოუქვეყნებია (მაგრამ, ნურც ის დაგვიწყდება, რომ ამ დაწესებულების თანამშრომელთა ხელფასი 62 პროცენტით გაიზარდა).

გასულ წელს ბიუჯეტის შემოსავლითი ნაწილის გარღვევის პარალელურად, ხარჯვითი ნაწილიც მნიშვნელოვანი ჩამორჩენით შესრულდა. ამ დროს თავისუფალმა სახსრებმა 287 მილიონზე მეტი შეადგინა, ანუ ბიუჯეტში დაუხარჯავი ფული დარჩა. ეს პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ბიუჯეტის დაგეგმვაც არაკორექტულად ხდებოდა. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელზე დადებითად იმოქმედა ეროვნული ვალუტის გაუფასურებამ, რომელიც დაეხმარა საგადასახადო ორგანოებს შემოსავლების შესრულებაში (სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვისას სავალუტო კურსი იყო – 1 აშშ დოლარი, 1,7 ლარი, რეალურად კი არსებული კურსი აღემატებოდა დაგეგმილ პარამეტრს). მთავრობას ნაკლებად ადარდებს ის, რომ ლარის კურსის ვარდნა ძალიან უარყოფითად მოქმედებს რიგითი მომხმარებლის ჯიბეზე.

* * *

მიმდინარე წელი შედარებით უკეთესი ეკონომიკური მაჩვენებლით დაიწყო. მაგრამ, ეკონომისტები ამბობენ, რომ მეორე კვარტალი უფრო რეალურ სურათს დაგვანახვებს, ვიდრე პირველი. საქმე ისაა, რომ ამ წლის ეკონომიკური მატება გამოიწვია 2013 წლის მეოთხე კვარტალში ბიუჯეტიდან გაწეულმა დიდი მოცულობის ხარჯებმა. კერძოდ დაიხარჯა 2,8 მილიონი ლარი, რაც მთლიანი ასიგნებების 34 პროცენტს შეადგენდა, ინფრასტრუქტურული კუთხით გამოყოფილი ასიგნებებიდან დაიხარჯა 765 მილიონი ლარი, რაც წლიური ასიგნების 48 პროცენტს შეადგენს. ამან ასახვა ჰპოვა დღგ-ს ბრუნვებზე. ამ უკანასკნელზე გავლენა იქონია ვალუტის გაუფასურებამაც, რაც ძირითადად იმპორტირებულ საქონელს შეეხება.

ეკონომიკაზე საუბრისას უნდა ითქვას ვალზე – ანუ საკრედიტო რესურსებზე, რომელიც მნიშვნელოვნად არის გაზრდილი წინა წლებთან შედარებით. **ამჯერად, 1,6 მილიარდი ლარის ვალის აღებაა გათვალისწინებული, რაც ჩვენი მშპ-ის 35,5 პროცენტია. ეს არის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი. თუ ეს რიცხვი 2011-2013 წლებში მთლიანი საბიუჯეტო სახსრების 2-3 პროცენტს შეადგენდა, 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით 12 პროცენტს გაუტოლდა. ნამდვილად საკითხავია, რატომ იღებს სახელმწიფო ამხელა ვალს, ნუთუ იმისთვის, რომ სახელმწიფო მოხელეთა კოლოსალური შემოსავლები კიდევ უფრო გაზარდოს?!** ამის ეჭვს აჩენს ის, რომ 2014 წლის ბიუჯეტში სოციალურ სფეროს დაფინანსება 300 მილიონით იზრდება, მაგრამ აღნიშნული ზრდა 2013 წლის შუა პერიოდში აღებული ვალდებულებაა, ხოლო მიმდინარე წელს რაიმე მსხვილი ტიპის დამატებითი სოციალური ვალდებულება ბიუჯეტს არ აუღია.

ეკონომისტების თქმით, სახელმწიფოს შეეძლო, გადაევადებინა დაუბეგრავი მინიმუმის გაცემა, სამაგიეროდ, შეეძლო, არ აეღო 200 მილიონი შიდა ვალი. შეეძლო, გადაევადებინა ხელფასების მომატების საკითხიც, სამაგიეროდ, 120 მილიონი ლარი გამოთავისუფლდებოდა. ამას თუ დაუმატებდნენ 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ხაზინაში ერთიან ანგარიშზე არსებულ გამოუყენებელ ნაშთს – 287 მილიონი ლარის ოდენობით, მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული მიმართულებების დაფინანსება ძალიან გამარტივდებოდა. 400 მილიონი ლარი ბევრ საინტერესო პროექტს გამართავდა წელში.

იყო დრო, როცა ექსპერტი ნოდარ ხადური ასეთივე პრაგმატულ იდეებს აწვდიდა სახელმწიფო მოხელეებს და არაადექვატური საქციელის გამო კიცხავდა. არაერთხელ მოგვისმენია მისგან საჭირო და პედანტური ეკონომიკური გათვლები, მაგრამ დროება შეიცვალა. ყველაზე გამჭვირვალე ფინანსთა უწყება მედიისთვის დაიხურა, ხოლო ოპტიმისტურად დაგეგმილი ბიუჯეტი პესიმისტური გახდა. ხადურის თაოსნობით გამოქვეყნდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო-2020“, მაგრამ იქამდე დამახინჯებული ინფორმაციის წყალობით თუ მივაღწევთ მშვიდად, თორემ რეალობა – სხვაა!

თეა მოსია

◎ ფინანსები

არიან თუ არა ბანკები პარაზიტები?

ბოლო პერიოდში მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ბოლო 3 წლის განმავლობაში არსებულ 21 ბანკს ბიუჯეტში იმაზე ნაკლები თანხა შეუტანია, ვიდრე ერთი წლის განმავლობაში, ცალკე აღებულ, ზოგიერთ ქართულ კომპანიას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით GHN-მა კომენტარი სთხოვა ეკონომიკური განვითარების ცენტრის თავმჯდომარეს, ეროვნული ბანკის ყოფილ პრეზიდენტს რომან გოცირიძეს.

– ბატონო რომან, მართლაც არასასიამოვნო ინფორმაციაა, როცა მაგალითად „სოკარს“ წელიწადში შეაქვს ბიუჯეტში 130 მილიონი ლარი, „ვისოლს“ 70 მილიონი ლარი, ხოლო მთელმა საბანკო სისტემამ ბოლო სამ წელიწადში 94 მილიონი ლარი შეიტანა. თანაც მაშინ, როცა მათი წმინდა მოგება წლიდან წლამდე იზრდება და ბოლო სამი წლის განმავლობაში 846 მილიონი ლარი შეადგინა.

– აბსოლუტურად არასწორი ინფორმაციაა. უფრო ზუსტად, ციფრები სწორია, ინტერპრეტაცია არასწორი. ადარებენ ორ შეუსადარ რამეს. მართლაც, ბანკების მოგებამ 94 მილიონი ლარი შეადგინა და ადარებენ სხვა კომპანიის არა მოგებას, არამედ მთლიან შენატანს ბიუჯეტში. იგივე ნავთობკომპანიების შემთხვევაში ამ თანხაში შედის მოგებაც, საშემოსავლო გადასახადი, ქონების გადასახადი და განსაკუთრებით აქციზი და დამატებული ღირებულების გადასახადი. ბიუჯეტში შეტანილი თანხიდან მოგება აქ მიზერულია. ბანკებიც იხდიან ასევე საშემოსავლო გადასახადს, ქონების გადასახადს, ანაბრებიც იბეგრება, მაგრამ ეს არ არის გათვალისწინებული. ასე, რომ არასრული მონაცემებია წარმოდგენილი და ქმნის ანტისაბანკო განწყობილებას, რაც ასე მოდურია საქართველოში.

– სად არის მაშინ საბანკო ასოციაცია? რატომ არ აძლევს სწორ განმარტებას საზოგადოებას?

– საბანკო ასოციაცია გინდ იყოს და გინდ – არა. ისინი უფრო ახალი სახელმწიფო განვითარების ბანკის შექმნის პროპაგანდით არიან დაკავებულები, ვიდრე ბანკების ინტერესების დაცვით.

– კვლავ დავუბრუნდეთ თავდაპირველ ინფორმაციას. თუ სწორია და ბანკების მოგებამ 846 მილიონი ლარი შეადგინა, მაშინ მისი 20 პროცენტი ხომ 169 მილიონია. მაშინ რატომ შედის ორჯერ ნაკლები თანხა ბიუჯეტში?

– ესეც არასწორად ინტერპრეტირებული ციფრია. ეს წმინდა მოგება არაა. ესაა მთლანი მოგება, საიდანაც ბანკებმა უნდა შექმნან რეზერვები ცუდი სესხებიდან მოსალოდნელი ზარალის დასაფარავად. იბეგრება ამ დარეზერვების შემდეგ დარჩენილი მოგება. თუ ეს სესხები დაბრუნდა, შესაბამისად, რეზერვებიდან ფული გამოთავისუფლდება და სამომავლოდ იგი მაინც დაიბეგრება. სინამდვილეში, ესაა დროში გადავადებული დაბეგვრა, რომელსაც ბანკი ადრე თუ გვიან მაინც ვერ აცდება. სხვა საკითხია, თუ მართლაც უხარისხო აღმოჩნდა ეს კრედიტები და ბანკებმა იზარალეს. მაშინ ბუნებრივია, რეალური მოგებაც არ ყოფილა იმდენი, რაც თავიდან ჩანდა. ისე, ერთი რამ მაინც საგანგაშოდ მენიშნა – რატომ დასჭირდათ ბანკებს ამოდენა რეზერვების შექმნა. ხომ არ მატულობს სწრაფად საარისკო სესხების რაოდენობა. ამას ეროვნულმა ბანკმა უნდა მიხედოს.

ჯი-ეიბ-ეინ

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

აფხაზეთში ოპოზიციამ განაცხადა, რომ ხელისუფლებას თავის ხელში იღებს

აფხაზეთში ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა რაულ ხაჯიმბამ განაცხადა, რომ საზოგადოებრივ პარტიათა და მოძრაობათა საკოორდინაციო საბჭო რესპუბლიკის მართვას თავად კისრულობს.

ოპოზიცია აფხაზეთში მოითხოვს სახელმწიფოს მეთაურის გადადგომას. ამ მოვლენებს წინ უსწრებდა მრავალათასიანი მიტინგი სოხუმში მთავრობის შენობათა კომპლექსის მახლობლად. პროტესტის მონაწილეები მოითხოვდნენ ხელისუფლების სისტემის რეფორმირებას, გამოხატავდნენ უკმაყოფილებას ხელმძღვანელობის მოქმედებით, კერძოდ, აფხაზეთის აღმოსავლეთი რაიონების მცხოვრებთა მასობრივი პასპორტიზაციის გამო.

ადრე აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან არსებული ინფორმაციის სამმართველოში იტყობინებოდნენ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებსა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკების დროს გამოჩნდა „ერთგვარი კონსენსუსი“, მაგრამ არანაირი გადაწყვეტილება, მათ შორის საკადრო, მიღებული არ ყოფილა.

სამშაბათს საღამოს ოპოზიციის წარმომადგენლებმა კონტროლი დააწესეს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობაზე.

ხაჯიმბამ სთხოვა თავის მომხრეებს, არ დატოვონ მოედანი შენობის წინ და განაცხადა, რომ ოპოზიცია „ქვეყნის ხელმძღვანელობას დროებით თავად იღებს თავის ხელში“.

ამჟამად, გადმოგვცემს „რია-ნოვოსტის“ კორესპონდენტი, ოპოზიციის წარმომადგენლები ატარებენ თათბირს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში.

ადრე აფხაზეთის უშიშროების საბჭოს მდივანი ნუგზარ აშუბა იტყობინებოდა, რომ პრეზიდენტი ანქვაბი აფხაზეთშია და აკონტროლებს სიტუაციას რესპუბლიკაში.

ქართული რეფორმები კიევისთვის რეკომენდებული არ არის

საქართველოს ხელისუფლებამ უკრაინის ახლადარჩეული პრეზიდენტი პიოტრ პოროშენკო გააფრთხილა საქართველოს ყოფილ ლიდერთან მიხეილ სააკაშვილთან, რომელიც ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს, თანამშრომლობის „რისკის“ შესახებ. გაფრთხილება გაისმა კიევიდან მოსული ცნობის პასუხად საქართველოს ექსპრეზიდენტის, აგრეთვე ქართული რეფორმების მთავარი არქიტექტორის კახა ბენდუქიძის პიოტრ პოროშენკოს მრჩევლებად შესაძლო დანიშვნის შესახებ.

„ჩემი პირველი რჩევა უკრაინის ახლადარჩეული პრეზიდენტისთვის — ეს არის არავითარ შემთხვევაში არ განიხილოს სააკაშვილის კანდიდატურა მრჩევლად“, — გააფრთხილა საქართველოს პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა, როდესაც კომენტარს უკეთებდა პიოტრ პოროშენკოს მრჩევლებად ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და სტრუქტურულ და ეკონომიკურ რეფორმებში ექსმინისტრ კახა ბენდუქიძის (შესაძლებელია, ორივესი ერთდროულად) შესაძლო დანიშვნის შესახებ. იმის შესახებ, რომ ეს დანიშვნები შესაძლებელია, წინა დღით განაცხადა ვიტალი კლიჩკომ, რომელიც კიევის მერად აირჩიეს. „მე ვესაუბრე სააკაშვილს და მან შემოგვთავაზა თავისი სამსახური; ვესაუბრე ბენდუქიძესაც, — განაცხადა ყოფილმა მოკრივემ. — დარწმუნებული ვარ, რომ თითოეული მათგანი დაგვეხმარება, თუ ამის აუცილებლობა გაჩნდება“.

ადრე ანალოგიური გაფრთხილებით გამოვიდა მიხეილ სააკაშვილის თანამებრძოლი „ვარდების რევოლუციით“ ნინო ბურჯანაძე. თებერვალში მან განაცხადა, რომ ძალიან უყვარს უკრაინელები“ და სწორედ ამიტომ ურჩევს მათ, შორს იყოლიონ თავისგან სააკაშვილი“.

უკმაყოფილება ხმების შესახებ მიხეილ სააკაშვილის კიევში მიწვევასთან დაკავშირებით გამოხატა

თბილისი მოუწოდებს პიოტრ პოროშენკოს, თავის გუნდში არ აიყვანოს მიხეილ სააკაშვილი

მოსკოვმაც. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა სერგეი ლავროვმა ურჩია უკრაინის ხელისუფლებას, **„ნუ გადააქცევენ სააკაშვილს შუამავლად უკრაინასა და რუსეთს შორის“.**

სხვათა შორის, საქართველოს ექსპრეზიდენტის თანამებრძოლები

მიიჩნევენ, რომ ამან მხოლოდ უფრო მეტად უნდა დაარწმუნოს უკრაინის ხელისუფლება ასეთი გადაწყვეტილების სისწორეში.

„ის, რომ ვიღაცა თბილისში არ იწონებს ამ დანიშვნას და, არსებითად, იმეორებს ლავროვის მარგალიტებს, მეტად მნიშვნელოვანია, — განაცხადა ჩვენთან საუბარში პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა დავით დარჩიაშვილმა. — უკრაინას სჭირდება რეფორმები. იანუკოვიჩის სისუსტემ და მოუმზადებლობამ, განახორციელოს აუცილებელი რეფორმები ევროინტეგრაციაზე უარის თქმასთან ერთად, მიგვიყვანა მაიდანთან“.

ამას ეთანხმება კახა ბენდუქიძეც. თავისი შეხედულებები უკრაინაში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით მან გადმოსცა ამ ცოტა ხნის წინათ თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში (რომლის დამფუძნებელიც თვითონ არის). მისი სიტყვებით, თუ უკრაინა არ განახორციელებს რადიკალურ რეფორმებს, „უკრაინის სახელმწიფოებრიობა შეწყვეტს არსებობას“. მრავალწლიანი კრიზისის მთავარ მიზეზად მან დაასახელა „უკრაინის ყველა ხელისუფლების სოციალური პოპულიზმი დამოუკიდებლობის მოპოვების დროიდან“. სხვათა შორის, ინფორმაციას შესაძლო დანიშვნების შესახებ ჯერჯერობით არ ადასტურებენ არც თავად პოტენციური მრჩევლები, არც უკრაინის ახალი პრეზიდენტი, რომელმაც ამ საკითხს ფრთხილი კომენტარი გაუკეთა და აღნიშნა, რომ „ჯერჯერობით მოლაპარაკება სააკაშვილთან არ ჰქონია“.

ქართველმა ექსპერტებმა კი მიხეილ სააკაშვილის მიწვევაში გეოპოლიტიკური თამაში დაინახეს. **„მან უკვე მოაბეზრა თავი ამერიკელებს თავისი დაუსრულებელი ავანტიურით, და როდესაც მას კიევში აგზავნიდნენ, უბრალოდ ცდილობდნენ მისგან თავის დაღწევას,** — განუმარტა ჩვენს გაზეთს მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის ყოფილმა მრჩეველმა, პოლიტოლოგმა გიორგი ხუხაშვილმა. — **სხვა მოტივებით შეუძლებელია ახსნა ასეთი ოდიოზური პიროვნების მიწვევა ახალი პრეზიდენტის მრჩევლის თანამდებობაზე. გაურკვეველია, თუ რა შეუძლია მან ურჩიოს უკრაინელებს“. სხვათა შორის, მან მოგვიწოდა, განვასხვავოთ ერთმანეთისგან „პოლიტიკური რისკები“, რომლებიც დაკავშირებულია მიხეილ სააკაშვილის შესაძლო დანიშვნასთან, კახა ბენდუქიძის ეკონომიკური პროგრამისგან. „ბენდუქიძეს შეიძლება შეხედო სხვადასხვაგვარად. მაგრამ მას საღი აზრი არ აკლია,** — მიაჩნია ჩვენი გაზეთის თანამოსაუბრეს. — **ამ ადამიანს შეუძლია, წავიდეს დრაივზე და შეუძლია, მოუტანოს უკრაინელებს გარკვეული სარგებელი“.**

Коммерсант

დედამიწის ზურგზე

ამერიკის შეერთებული შტატები ავღანეთიდან ჯარებს მთლიანად 2016 წელს გამოიყვანს, განაცხადა ობამამ

როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, „2014 წელი შემობრუნების წელი იქნება“. ამის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატები „ღიაა ავღანეთთან თანამშრომლობისთვის ორი მთავარი მიმართულებით: ავღანეთის ჯარების მომზადება და კონტრტერორისტული ოპერაციების მხარდაჭერა ქვეყანაში დარჩენილი „ალ-ქაიდას“ ბოევიკების წინააღმდეგ.

ევროპაში ვიზიტის დროს ობამა შეხვდება პოროშენკოს, უკრაინის ახალ პრეზიდენტს

ეს დაადასტურეს ამერიკის შეერთებული შტატების თეთრ სახლთან არსებულ ეროვნული უშიშროების საბჭოს პრესსამსახურში: „დიახ, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ისინი შეხვდებიან ერთმანეთს“. ადრე იმავე დღეს ობამამ დაურეკა პოროშენკოს ტელეფონით. ამ დროს ოლანდმა განაცხადა, რომ კიევმა უნდა მოახდინოს რუსეთთან ურთიერთობების სტაბილიზება და აწარმოოს მოლაპარაკება უკრაინის აღმოსავლეთთან.

ნიუფაუნდლენდის მცხოვრებლები გათავისუფლდნენ გახრწნილი ვეშაპებისგან, კალიფორნიელებმა წარმატების გამეორება ვერ შეძლეს

ზღვის გიგანტები, რომლებიც კანადის სანაპიროზე ჯერ კიდევ აპრილში გამოირიყა და რომლებმაც უკვე მოასწრეს მიეყენებინათ უსიამოვნებანი მცხოვრებლებისთვისაც და ხელისუფლებისთვისაც, ახლა უკვე მეცნიერებას მოემსახურებიან: ერთი გაიგზავნა ტორონტოში მუზეუმში, მეორე მიჰყავს უნივერსიტეტს. ამ დროს ერთი მკვდარი ვეშაპი ზიანს აყენებს სამხრეთი კალიფორნიის მცხოვრებლებს.

მორიგი ხანძარი სამხრეთ კორეაში: სანატორიუმში 21 კაცი დაიღუპა, 7 დაიჭრა

დაღუპულთა უმრავლესობა — არეცელს მიჯაჭვული 70-დან 80 წლამდე ასაკის მოხუცები არიან, რომლებსაც აწუხებდათ ალცჰაიმერის დაავადება, ინსულტები და სხვა მძიმე სენი. ხანძრის დაწყების დროს შენობაში მხოლოდ ერთი სამედიცინო მედდა მორიგეობდა 70 პაციენტთან, იგიც დაიღუპა.

◎ ყველას თავისი აზრი აქვს

ქიმერა: 26 მაისი

ციკლიდან „დროის იეროგლიფები“

შარლ ბოდლერის მინიატიურების ციკლში „პარიზის სპლინი“ ერთი ასეთი ნიმუშიცაა, მძაფრი, სულისშემძვრელი დრამატიზმით განმსჭვალული: „ყველას თავისი ქიმერა ჰყავს“.

წელში გადრეკილ, მწკრივად მიმავალ კაცთ ზურგზე შეუსვამთ თავ-თავისი ვეება ქიმერა, ფქვილის ან ნახშირის ტომარასავით მძიმე და რომაელი მხედრის აღჭურვილობასავით ძნელად სატარებელი. და ეს ურჩხული სულაც არაა ინერტული მასა, არამედ ცოცხალი არსებაა, რომელიც შემოხვევია ადამიანს მძლავრი, დრეკადი კუნთებით, კისერში ჩაფრენია ბასრი ჭანგებით, ხოლო მისი ფანტასტიკური თავი აზიდულა ადამიანის თავზე შემზარავი მუზარადივით, ძველი დროის მეომრები რომ იხურავდნენ მტრისათვის ზარდასაცემად.

საგონებელში ჩავარდნილ ბოდლერს უნდა გამოერჩია ერთ-ერთი კაცთაგანი და ეკითხა:

— სად მიხვალთ?

მას კი მიეგო:

— ეს არავინ უწყის, არც მე, არც სხვამ, თუმც აშკარაა, რომ სადღაც მივდივართ, ვინაიდან დაუთრგუნავი მოთხოვნილება გვაქვს სვლისა.

საოცარი მაინც ის გახლავთ, რომ არც ერთ მგზავრთაგანს თითქოს არ აწუხებს ზურგზე მოკიდებული და კისერში ჩაფრენილი გაავებული მხეცი, ვინაიდან ამ მხეცებს უკვე მიიჩნევდნენ საკუთარი არსების ნაწილად.

მწერალი წუთით შეეცდებოდა ამოცნობას ამ მისტერიისა, მაგრამ... მალე განურჩევლობას უნდა მოეცვა დაუთრგუნველს და თვითონაც გაცილებით მეტად უნდა მოკაკულიყო მისი სიმძიმილის ქვეშ, ვიდრე ის კაცნი, ქიმერათა ტვირთქვეშ რომ მოკაკულიყვნენ.

ბოდლერის მინიატიურაში ეს მისტერია ადამიანებს ასდევნებია, მაგრამ შესაძლოა სახელმწიფოსაც აედევნოს, ყოველ შემთხვევაში ჩვენს ყოფით სინამდვილეში პატარ-პატარა ქიმერათა მიღმა აშკარად ილანდება უშველებელი ქიმერაც, მძლავრი, დრეკადი კუნთებით რომ შემოხვევია ჩვენს ქვეყანას და კისერშიც ჩაფრენია ბასრი ჭანგებით.

რუსეთის ქიმერობა რუსეთის ქიმერობად, ავ ბედისწერას რომ მოუვლენია ჩვენს საწამებლად, ვიდრე ერთხელ და სამუდამოდ თავს დავიხსნიდეთ მისი მძლავრებისაგან და შვებით ამოვისუნთქებდეთ, მაგრამ ჩვენი ნებით რატომღა ვქმნით ქიმერებს, რომელთაც ასაზრდოებთ სიცრუე და თვალთმაქცობა, გარემომცველი რეალობისა და ისტორიის გაყალბების ყოველგვარი ცდა თუ სტერეოტიპთა ტყვეობაში ყოფნა, მით უმეტეს, უმნიშვნელოვანეს მოვლენებსა და თარიღებს რომ ეხება.

თუნდ აგერ 26 მაისი ჩვენივე ხელით არ გავაქიმეერეთ?!.

ჯერჯერობით არაფერი ეშველა ამ თარიღის გამოცხადებას სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღედ.

არაფერი ეშველა ისტორიის გაყალბებას.

არაფერი ეშველა ცრუზეიმს.

არაფერი ეშველა ფარისევლურ აღნიშვნას საქართველოს დამოუკიდებლობისა.

ვითომ დიდად აღტაცებულნი ბრძანდებიან საქართველოს სახელმწიფოს დადგინებით თანასწორად სხვა ერთა შორის.

თითქოსდა რას ვერჩით — არამარტო დედაქალაქში, არამედ სხვა ქალაქებშიც ზეიმით მიესალმნენ ხელისუფალნი და მოსახლეობა ამ თარიღს, მაგრამ... რაღა აღნიშვნა და რაღა დღესასწაულია, თუკი ისიც ვერ გაგირკვევია, ჩვენმა ქვეყანამ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა როდის მოიპოვა — 1991 წლის 9 აპრილს თუ 1918 წლის 26 მაისს!..

წავიდა ის დრო, როდესაც მენშევიკურმა მთავრობამ ნოე ჟორდანიას მეთაურობით გამოაცხადა დამოუკიდებლობის დღედ 26 მაისი.

და მოვიდა ის დრო, როდესაც ეროვნულმა ხელისუფლებამ ზვიად გამსახურდიას მეთაურობით გამოაცხადა დამოუკიდებლობის დღედ 9 აპრილი.

ასეცაა ჩაწერილი საქართველოს კონსტიტუციაში.

მაგრამ ვინ დაგიდევს კონსტიტუციას, თუგინდ ზედაც იფიცებდეს.

როგორც აქამდე არ უწევდნენ არავითარ ანგარიშს — ყბადაღებული 9-წლიანი მმართველობის ხანაში, ისე ამ ორი წლის განმავლობაშიც, სადღაცაა ამოდებულ ქვეყნის უპირველეს კანონს.

განა როდემდე შეიძლება გაგრძელდეს მოსახლეობის ზომბირება?

საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

განა როდემდე შეიძლება გაგრძელდეს საზოგადოების ცნობიერების ამღვრევა?

რა — არ ყოფილა 1921 წლის 25 თებერვლის ტრაგიკული დღე და არც 70-წლიანი ჯოჯოხეთი გამოგვივლია?

ამას ნიშნავს, ამას, სხვას კი არაფერს 26 მაისის დადგინება სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღედ და მისი აღნიშვნა საყოველთაო-სახალხო დღესასწაულით, ნაცვლად ზვიად გამსახურდიას მიერ მიღებული აქტისა, მის ნაცვლად თვალში წამდაუწუმ რომ გვჩრიან კადრებს ნოე ჟორდანიასა და მენშევიკთა ლიდერების გამოსახულებებით, ვითომ დიდად სასახელო წინამძღოლები გვყავდნენ და არიქა, არ მიგვიბურუსდეს მათი სახეები.

ნუთუ ვერა ხვდებიან, რომ ზეიმი კომედიას ემსგავსება.

ყალბსა და ფარისევლურს განა რასა აქვს ფასი, ძალად გამოგონილ დღესასწაულს რომ ჰქონდეს?!.

მაინც თავისას აგრძელებენ იმის იმედად, რომ ზომბირებული და დაბნეული ცნობიერება საბოლოოდ ირწმუნებს ამ სიცრუეს და აღიარებს, რომ 1991 წლის 9 აპრილი არც არასოდეს არსებულა... ან თუ მაინც ყოფილა, რაღაც წვრილმანი, 1918 წლის 26 მაისის უმნიშვნელო დამატება, ალბათ ხორცმეტი უფრო, რომელიც უნდა ჩამოიჭრას, რათა ნოე ჟორდანიას სახელმა და საქმემ სრული ნათებით იბრწყინოს. ზვიად გამსახურდია კი მის ჩრდილში გაილიოს, გაილიოს და... გაქრეს.

ეს იმ შემთხვევათაგანია, მამის დაბადება რომ დავიწყებიათ და მამინაცვლის დაბადებას ფიცულობენ.

არაფერი ეშველა ამ სიცრუის მტკიცებასაც, თითქოს გვაკლდეს გარშემო სიცრუე-სიყალბე.

არაფრისდიდებით არ ეშვებიან საზოგადოებრივი ცნობიერების ამღვრევა-ზომბირებას.

მეც რომ არაფრისდიდებით არ ვეშვები და გაუთავებლად ვაცხადებ პროტესტს?!.

რა აზრი აქვს, როდესაც ასეთ უთანასწორო „დისკუსიაში“ მოვყოლილვარ?!

რაც არის და როგორც არის, ვალდებული ვარ, მოვიხადო ჩემი მოქალაქეობრივი ვალი იმ იმედით, რომ ყველა თუ არა, არაერთი უთანასწორო დაპირისპირება დასრულებულა სიმართლის სასარგებლოდ.

და ეგებ მათ შორის ერთი ესეც აღმოჩნდეს ოდესმე — 9 აპრილი გვეზეიმოს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღედ, 9 აპრილი და არა რაღაც ეფემერული და ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ერთ-ერთი თაოსნის პირით გადმოსროლილი 26 მაისი.

* * *

— სად მიხვალთ?

ეკითხები დღესასწაულის მონაწილეთ, რომელთაგან ბევრს გულუბრყვილოდ ჰგონია, რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავს და ერთმანეთს გულწრფელად ამიტომაც ულოცავენ ამ თარიღს... ოღონდ ეგ კია, სად მიდიან, არავის მოეხსენება, და თუ მაინც არა ჩერდებიან, ეს იმიტომ, რომ დაუთრგუნავი მოთხოვნილება გასჩენიათ სვლისა.

...ვიდრე ჰხვალ, საქართველოვ, მოკაკულო 26 მაისის ქიმერის ქვეშ?!.

როსტომ ჩხეიძე

◎ ავტოიმპორტი მალე დაკნინდება!

საექსპორტო გადაჯგუფებები კვლავ გაგრძელდება

ძართული ძირითადი საექსპორტო პროდუქციის ჩამონათვალში, სავარაუდოდ, ცვლილებები მოხდება. ზოგიერთი ნაწარმი ახლა იკიდებს ფეხს უცხოურ ბაზრებზე, ზოგიერთი კი პოზიციებს თანდათან თმობს. უნდა ითქვას ისიც, რომ ეს ტენდენცია უფრო გარე ფაქტორებიდან მომდინარეობს.

„საქსტატის“ ინფორმაციით, საქართველოში მსუბუქ ავტომობილებზე იმპორტი 14 პროცენტით არის დაკლებული. ამ სასაქონლო ჯგუფის იმპორტმა 200 მლნ აშშ დოლარი და იმპორტის 8 პროცენტი შეადგინა. შესაბამისად, იკლებს მანქანების ექსპორტიც (უფრო სწორად, რეექსპორტი). ჩვენს მეზობლად მდებარე ქვეყნების საკანონმდებლო ცვლილებების გამოისობით, ამ სეგმენტში ვითარება კარდინალურად იცვლება.

საქართველოში არ არის მანქანათმშენებლობის ინდუსტრია. ამის მიუხედავად, საქართველოდან ექსპორტირებულ პროდუქციაში მსუბუქი ავტომობილების წილი საკმაოდ მაღალია. ეს რეალურად, იმ მანქანების რეექსპორტია, რომლებიც ევროკავშირისა და სხვა ქვეყნებიდან შემოდის და შემდეგ რეგიონის იმ ქვეყნებში იყიდება, სადაც მოთხოვნა ხარისხიან მანქანებზე მაღალია. მოთხოვნა ძირითადად მეზობელი ქვეყნებიდან და ცენტრალური აზიიდანაა. ავტობაზარზე მაღალი კონკურენციაა, იმპორტრეექსპორტით 120-ზე მეტი კომპანიაა დაკავებული.

2014 წლის გაზაფხულზე ავტოექსპორტის პერსპექტივასთან დაკავშირებით საქართველოში სერიოზული კითხვები გაჩნდა. ამის მიზეზი საქართველოდან მანქანების იმპორტიორი ქვეყნების გადაწყვეტილებებია: აზერბაიჯანი წელს ევროპის სტანდარტებზე გადავიდა, რაც გულისხმობს ქვეყანაში ავტოპარკის განახლებას და 2005 წლამდე წარმოებული მანქანების იმპორტის შეჩერებას. სომხეთი კი ევრაზიული საბაჟო კავშირის წევრობისთვის ემზადება, რაც ასევე რადიკალურად ცვლის სავაჭრო ურთიერთობებს და საბაჟო განაკვეთებს ყველა პროდუქტზე, მათ შორის, ავტომობილებზე.

2004 წელს ავტომობილების ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში ერთ პროცენტზე ნაკლები იყო. 2012-13 წლებში კი ამ პროდუქციის წილი ექსპორტში თითქმის 25 პროცენტამდე გაიზარდა. იმ შემთხვევაში, თუ ქართველი ავტოიმპორტიორები გასაღების ძირითად ბაზრებს დაკარგავენ, საქართველოში ავტომობილების იმპორტიც შემცირდება და ამ სექტორის წილი ექსპორტის საერთო მაჩვენებელში თანდანთან რამდენიმე წლის წინანდელ მაჩვენებელს დაუბრუნდება.

საქართველოს ექსპორტის ყველაზე სუსტი მხარე, ალბათ, მისი რამდენიმე მთავარ საქონელზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულებაა, თუმცა, ამ მიმართულებით თანდათან ვითარება იცვლება და საექსპორტო საქონლის ჩამონათვალი ფართოვდება. მაგალითად, 26 მაისიდან მთელი რიგი ქართული ხილისა და ბოსტნეულისთვის რუსული ბაზარი გაიხსნა. მანამდე კი აქამდე არნახულ პოზიციებს მიაღწია თხილისა და ღვინის ექსპორტმა.

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ეს ინფორმაცია დაადასტურა და აღნიშნა, რომ რუსეთის ბაზარზე ქართული ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტის აღდგენა მთავრობის დიდი ძალისხმევის შედეგია.

„რამდენიმე დღის წინათ გახდა ცნობილი, რომ რუსეთის ბაზარზე კვლავ აღდგება ქართული პომიდვრის, კიტრის, კომბოსტოს, ბადრიჯნის, კარტოფილისა და ხილის მიწოდება. ჩვენ დაინტერესებული ვართ, რომ ხალხს ჰქონდეს რაც შეიძლება მეტი გზა იმისა, რომ მოახდინოს პროდუქტის რეალიზება და მიიღოს მეტი შემოსავალი“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფიამ კი ხაზი გაუსვა, რომ ქართული მხარე ამ თემაზე „როსსელხოზნადზორთან“ მუშაობდა და უკვე მთელი რიგი ხილისა და ბოსტნეულისთვის (ატამი, გარგარი, ქლიავი, შეფუთული და ახალი კარტოფილი) გზა რუსული ბაზრისკენ გზახსნილია.

გელა დანელია.

რათა უძლიერესი გუნდით შევხვდეთ

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი მოადგილე აკაკი ლოდიასთან ერთად „შევარდენის სარაგბო აკადემიის“ ბაზაზე გამართულ საქართველოს რაგბის კავშირის 2015 წლის მსოფლიო თასისათვის მოსამზადებელი გეგმის პრეზენტაციას დაესწრო.

ეროვნული ნაკრების მოსამზადებელი გეგმა რაგბის კავშირის გამგეობის სხდომაზე განიხილეს, სადაც რაგბის კავშირის პრეზიდენტი გიორგი ნიჟარაძე, ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი მილტონ ჰეიგი, გუნდის ყოფილი მთავარი მწვრთნელი რიჩი დიქსონი, გამგეობის წევრები და რაგბის კავშირის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

მოსამზადებელი გეგმის მიხედვით რაგბის კავშირის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და კერძო სექტორის ერთობლივი ძალისხმევით ყველანაირი პირობა უნდა შეიქმნას იმისათვის, რომ 2015 წლის მსოფლიო ჩემპიონატს, რომელსაც დიდი ბრიტანეთი უმასპინძლებს, საქართველო არსებობის ისტორიაში უძლიერესი გუნდით შეხვდეს.

დეტალურად გაწერილი და პუნქტებად ჩამოყალიბებული მზადების გეგმა ძირითადად 2 ეტაპს მოიცავს. მასში შესულია როგორც ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე მორაგბეების მომზადება და საფრანგეთში მოთამაშე ლეგიონერების მონიტორინგი, ასევე უცხოელი სპეციალისტების და მწვრთნელების მოწვევა, გუნდში სპორტული ფსიქოლოგის ჩართვა, შეკრებები პოლონეთისა და ინგლისის სპორტულ ბაზებზე, საერთაშორისო ტესტ-მატჩების გამართვა, სპორტული ინვენტარის, აღჭურვილობის შეძენა და სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

ჯამში ეროვნული ნაკრების მოსამზადებელი გეგმის ბიუჯეტი 1.780.499 ლარს შეადგენს, რაც რაგბის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამიდან გამოიყოფა.

დასახული გეგმის მიხედვით ნაკრებისთვის მისაღებ შედეგად 1 მატჩის მოგება ჩაითვლება, თუმცა რეალურია 2 მატჩის მოგებაზე განაცხადის გაკეთება და 2019 წლის მსოფლიო თასზე ავტომატურად მოხვედრა, ხოლო პროგრამა-მაქსიმუმად ჯგუფიდან გასვლაა დასახული.

ქართველი მორაგბეები 2015 წლის მსოფლიო თასზე C ჯგუფში ითამაშებენ ტონგას, არგენტინის, ახალი ზელანდიისა და აფრიკის საუკეთესო წარმომადგენლების წინააღმდეგ. ეროვნული ნაკრების ოფიციალური სამზადისი მსოფლიო ჩემპიონატისათვის 2015 წლის ივნისიდან დაიწყება და საქართველო რაგბის მსოფლიო თასზე ზედიზედ მეოთხედ ითამაშებს.

გეჟან დოლიძე

◎ შტანგის ირგვლივ

ძალოსნებმა 100 ათასი გადაიხადეს და არჩევნები დაგეგმეს

ძართულ ძალოსნობას საერთაშორისო ტურნირებიდან მოკვეთის საფრთხე აღარ ემუქრება. საქართველოს ძალოსნობის ფედერაციამ საერთაშორისო ფედერაციის მიერ დაკისრებული ფინანსური სანქცია — 100 ათასი დოლარი უკვე გადაიხადა. ეს ინფორმაცია ლეგენდარულმა სპორტსმენმა, ძალოსნობის ფედერაციის ვიცეპრეზიდენტმა კახი კახიაშვილმა დაადასტურა.

შეგახსენებთ, ჯარიმა ქართველი ძალოსნების: შოთა მიშველიძის (69 კგ), რაულ ცირეკიძის (85 კგ), დავით გოგიასა (105 კგ) და ლაშა ტალახაძის (+105 კგ) დოპინგ-სკანდალში გახვევას მოყვა, თანხის გადახდის საბოლოო ვადად კი 25 ივნისი დაწესდა. გადაუხდელობის შემთხვევაში ამ თარიღის შემდეგ საქართველო ყველა შეჯიბრებიდან მოიკვეთებოდა.

„ეს თანხა კერძო და სახელმწიფო სტრუქტურების ურთიერთთანამშრომლობით, კარგი ხალხის გვერდში დადგომით გამოიძებნა და უკვე გადავრიცხეთ. პრობლემა მოგვარდა და ესაა მთავარი, მეტი კონკრეტიკისგან კი ამ ეტაპზე თავს შევიკავებ“ — განაცხადა კახიაშვილმა.

ქართულ ძალოსნობაში ერთი საინტერესო სიახლეცაა — 12 ივნისს მორიგი რიგგარეშე ყრილობა გაიმართება, რომელზეც ფედერაციის ახალ პრეზიდენტს აირჩევენ. ამჟამად პრეზიდენტის მოვალეობას შოთა ბუაძე დროებით ასრულებს. 87 წლის ვეტერან ძალოსანზე დელეგატებმა 4 მარტს შეაჩერეს არჩევანი.

კახი კახიაშვილმა ასევე დაადასტურა, რომ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში თავად აპირებს კანდიდატურის წამოყენებას, თუმცა...

ბოლო დღეებში აქტიურად მიმდინარეობს მოლაპარაკება მავან ბიზნესმენთან, რომელსაც ძალოსნები პრეზიდენტის საგარძელს სთავაზობენ და თუ დაითანხმეს, სავარაუდოდ კახიაშვილი მასთან კონკურენციაზე უარს იტყვის.

დასასრულ ერთი კულუარული ცნობაც. მას შემდეგ, რაც ძალოსნობის ფედერაცია დალაგდება, დიდი ალბათობით, ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე დაბრუნებას გამოცდილ სპეციალისტს ვანო გრიქუროვს შესთავაზებენ, რომელმაც თანამდებობა ლონდონის ოლიმპიური თამაშების შემდეგ შიდა დაპირისპირების გამო დატოვა.

კობა კობახიძე

◎ კალათბურთი

დასავლეთში მასპინძელთა დომინირება გრძელდება

ნბა-ს დასავლეთ კონფერენციის ფინალში, რომელშიც ერთმანეთს „ოკლაჰომა სიტი“ და „სან ანტონიო“ ეპაექრებიან, უკვე მე-4 მატჩი მიილია, ბრძოლა კი არცერთში ყოფილა. ტეხასში გამართულ ორ შეხვედრაში მასპინძლები დომინირებდნენ, ხოლო ოკლაჰომაში გადაბარგების შემდეგ „ტანდერის“ აშკარა უპირატესობა გამოიკვეთა.



გუშინ დილით გამართული მატჩის პირველი ტაიმის შემდეგ ოკლაჰომელები 15 ქულით დაწინაურდნენ და საბოლოოდ გამარჯვების მოპოვებაც არ გასჭირვებიათ — 105:92. შეხვედრის გმირი რასელ ვესტბრუკი გახდა, რომელმაც 40 ქულა მიითვალა და პლეი ოფებში პირადი რეკორდი გაიმეორა.

„ტანდერის“ გამთამაშებლის აქტივში 10 პასი, 5 მოხსნა და 5 ჩაჭრაც გახლდათ. უკანასკნელი კალათბურთელი, რომელმაც პლეი ოფის თამაშში 40 ქულის, 10 პასის და 5 ჩაჭრის მოგროვება შეძლო, ლეგენდარული მაიკლ ჯორდანი იყო. მან ასეთი შედეგი 1989 წელს დააფიქსირა.

„ვფიქრობ, ცუდად არ მითამაშია, მთავარი კი ის გახლავთ, რომ მატჩი მოვიგეთ და სერიაში ანგარიში გავათანაბრეთ. მე უბრალოდ მოედანზე გავდივარ და მაქსიმუმს ვაკეთებ, რათა გუნდმა წარმატებას მიაღწიოს“, — განაცხადა ვესტბრუკმა.

„ჩვენ გაცილებით უკეთ ვითამაშეთ“, — მოკლედ მოჭრა ოკლაჰომელთა მთავარმა მწვრთნელმა სკოტ ბრუქსმა, რომელიც გუნდის გარჯით ძალიან კმაყოფილი იყო. ეს გასაკვირიც არაა. „ტანდერმა“ სერიის საწყისი მატჩები ჯამში 52-ქულიანი სხვაობით დათმო და ფაქტიურად ფერფლიდან აღდგენა მოახერხა.

საპირისპირო განწყობა გახლდათ ტეხასელთა ბანაკში, სადაც თამაში არავის წაუვიდა. სტუმართაგან საუკეთესოებს, ფრანგ კალათბურთელებს — ბორის დიაოს და ტონი პარკერს აქტივში მხოლოდ 14-14 ქულა ჰქონდათ, ტიმ დანკანმა 9 ქულა ჩააგდო, მანუ ჯინობილი კი 5 ქულას ვერ ასცდა.

„ძნელია რაიმეს თქმა. სულ სხვაგვარად თამაშს ვაპირებდით და არაფერი გამოგვივიდა. ოკლაჰომაში ჩატარებული ორივე თამაში „“ჩაგვივარდა“. ისღა დაგვრჩენია, კონცენტრირება სერიის მე-5 შეხვედრაზე მოვახდინოთ, რომელიც უკვე ჩვენს სარბიელზე შედგება“, — აღნიშნა პარკერმა.

ცნობისთვის, მომავალ მატჩს სან ანტონიო ხვალ დილით უმასპინძლებს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ წინ, საქართველო!

ფინალური რაუნდის ზღურბლთან

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ევრო 2014-ის ელიტ-რაუნდის მეორე ტურში კვიპროსის ნაკრები დიდი ანგარიშით 5:1 დაამარცხა და უკანასკნელი, მესამე შეხვედრის წინ 6 ქულით ჯგუფს ლიდერობს. ამდენივე ქულა აქვს ისრაელის ნაკრებს, რომელმაც გუშინვე 1:0 სძლია შვეიცარიას, თუმცა ბურთების უარესი სხვაობის გამო მეორე ადგილზეა.

პირველ ტურში ისრაელის ნაკრებმა კვიპროსს 4:0 სძლია, ვასილ მაისურაძის გუნდმა კი კუნძულელებთან ოთხბურთიანი უპირატესობა პირველივე ტაიმში მოიპოვა: მე-14 წუთზე მათე ცინცაძემ გახსნა ანგარიში (საჯარიმო დარტყმა უნაკლოდ შეასრულა), მე-19 წუთზე ლუკა კიკაბიძემ მეორე ბურთი გაიტანა ვანგელის გეორგიუს კარში, 30-ე წუთზე ლუკა ზარანდიამ დაარტყა ზუსტად, მსაჯის მიერ დამატებულ მეორე წუთზე კი პანაიოტის ლოიზიდესმა საჯარიმოში უყურადღებოდ ითამაშა და საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი — 4:0.

შესვენების შემდეგ მეტოქეებმა გოლები გაცვალეს: ლუკა კიკაბიძემ 55-ე წუთზე დუბლი მიითვალა, მსაჯის მიერ დამატებულ მესამე წუთზე კი კვიპროსელთა კაპიტანმა ანდრეას პანაიოტუმ ზუსტად შეასრულა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა — 5:1. ეს იყო პირველი გოლი, რომელი ჩვენმა გუნდმა შვეიცარიაში გაუშვა.

ხვალ ნიონში, სტადიონ „კოლოვრეიზე“, საქართველოს და ისრაელის ნაკრებთა მატჩში ევროპის წლევანდელი ჩემპიონატის მონაწილე გამოვლინდება. შეხვედრის მთავარი არბიტრი რუმინელი მარიუს ავრამი იქნება.

გიორგი ზოთაძე

◎ ფეხბურთი

„ტოტენჰემს“ პოჩეტინო გაწვრთნის

„საუთჰემპტონის“ ექს-თავკაცი მაურისიო პოჩეტინო „ტოტენჰემის“ მთავარი მწვრთნელი გახდა. ლონდონური კლუბის ვებ-გვერდის ცნობით, 42 წლის სპეციალისტის კონტრაქტი ხუთ წელზეა გათვლილი.

გასულ სეზონში პოჩეტინოს ხელმძღვანელობით „საუთჰემპტონმა“ საუკეთესო შედეგი აჩვენა და პრემიერლიგაში მე-8 ადგილი დაიკავა.

„ტოტენჰემი“ შესანიშნავი ისტორიის მქონე კლუბია და ჩემთვის მისი გაწვრთნა დიდი პატივია. აქ ტოპ-კლასის ბევრი მოთამაშეა და ახალი სეზონის დაწყებას მოუთმენლად ველი“, — განაცხადა პოჩეტინომ.

შეგახსენებთ, რომ გასული სეზონის დასრულების შემდეგ ლონდონური კლუბის ხელმძღვანელობამ ტიმ შერვუდი გაანთავისუფლა, რომელმაც, თავის მხრივ, მანამდე ანდრე ვილაშ-ბოაში შეცვალა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ჰოკეი

რუსული ვენდეტა

მართალია, სოჭის ოლიმპიადა რუსეთის დელეგაციის ტრიუმფით დასრულდა, მაგრამ მასპინძლებს გველის ნაკბენივით დაამახსოვრდათ თავიანთ ჰოკეისტთა ნაკრების კრახი, რომელმაც მეოთხედფინალური ბრძოლა ფინელებთან წააგო და უმედლოდ დარჩა.

და აი, გავიდა სამიოდე თვე და გუნდის თავკაცად ზინეტულა ბილიალეტდინოვის ნაცვლად დანიშნული ოლეგ ზნაროკის შეგირდებმა ათიდან ათივე შეხვედრის მოგებით ტრიუმფით დააგვირგვინეს თითქმის საკუთარ კედლებში — ბელარუსის დედაქალაქ მინსკში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატი.

აღსანიშნავია, რომ სლავებმა „სუომისთან“ ორმაგი რევანში აიღეს — ჯერ ჯგუფური რაუნდის მატჩში — 4:2, ხოლო შემდეგ — ფინალში — 5:2. სხვათა შორის, სატიტულო დუელის გმირად ლეგენდარული მწვრთნელის ვიქტორ ტიხონოვის შვილიშვილი და სეხნია მოგვევლინა „დუბლით“, რომელიც იმავდროულად ფორუმის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა.

დავძენთ, რომ ეს ჩრდილოელთა მეხუთე ოქროს ფინიშია ზესახელმწიფოს დაშლის შემდეგ, საბჭოური მიღწევების ჩათვლით კი — 24-ე.

ცნობისთვის: ზნაროკმა თანამემამულეთა სატიტულო თამაშს ტრიბუნებიდან უყურა ნახევარფინალში შვედ კოლეგასთან სიტყვიერი კინკლაობის გამო. ვიპ-ლოჟას ასევე რიგით გულშემატკივართა შორის ყოფნა ამჯობინა პუტინ-ლუკაშენკო-რახმონოვის ტრიომაც...

როსტომ რაჭველიშვილი

სიყვარული ვერტიკალურია და ბრუნვადი...

მაგთი MAGTI
ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ

„ვიდრე წერას დავიწყებდე, და წერის დროსაც, ჩვეულებრივ, ვიწყებ ხატვას. ეს მეხმარება მუშაობაში. განსაკუთრებით, რომ არ ვწერო და მეტი დრო გავატარო ჩემს ნავსაყუდელში — სახვით ხელოვნებაში... ისედაც ყოფილა, პატარა, უმნიშვნელო ნახატს სიუჟეტი სულ სხვა გზაზე წაუყვანია“.

რეზო გაბრიაძე.

სწორედ ამ სიყვარულის, რომელიც დიდი ხელოვნების ტრფიალთა გულებში დავანდა, გამოხატულება იყო სამშაბათს „მაგთიკლუბში“ გამართული კიდევ ერთი ლამაზი საღამო, რომლის ინიციატორიც „მაგთიკომი“ გახლდათ. თბილისის ეს პოპულარული კლუბი საფრანგეთის რესპუბლიკის ხელოვნებისა და ლიტერატურის ორდენის კომანდორს, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო და რუსთაველის სახელმწიფო პრემიების ლაურეატს, უნიჭიერეს მხატვარს, თეატრისა და კინოს რეჟისორს, მწერალსა და მოქანდაკეს ბატონ რეზო გაბრიაძეს მასპინძლობდა. „მაგთიკომმა“ ტრადიციას არც ამჯერად უღალატა და გამოსცა ბატონი რეზოს შესანიშნავი წიგნი „შერეკილები“. წიგნში უამრავი ესკიზია შესული, რომლებიც მის ნაწარმოებებზე მუშაობისას შეიქმნა და რომლებშიც პერსონაჟების ავტორისეული აღქმაა ასახული. „მაგთიკომი“ ხომ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქართველ მწერლებსა და მის გამორჩეულ წარმომადგენლებს.

წიგნი ავტორმა თავად წარუდგინა სტუმრებს. სტუმრები კი მართლაც არ აკლდა საღამოს. ბატონი რეზოს შემოქმედებაზე და წიგნის შესახებ გამომსვლელებმა დიდი სიყვარულით ისაუბრეს.

ელდარ შენგელაია:

— „სიყვარული ვერტიკალურია და ბრუნვადიო“... ვისაც უყვარს, ვისაც სიყვარული განუცდია, ის ძალიან ბედნიერია და ასეთია რეზო გაბრიაძე. ნეტავ იცოდეთ, რამდენი ხანია, ვეხვეწები, რამე სცენარი დამიწეროს და მასთან ერთად მესამე სურათიც გადავიღო. სთხოვეთ თქვენც, საზოგადოებამაც სთხოვოს, რომ კიდევ ერთი შედევრი შექმნას. „მაგთიკომს“ კი რაღა თქმა უნდა, დიდი მადლობა, რომ კიდევ ერთი მშვენიერი წიგნის გამომცემლად მოგვევლინა.

გია მაჩაბელი, ილიას უნივერსიტეტის პროფესორი, რეზო გაბრიაძის მეგობარი:

— მე და ბატონი რეზო დიდი ხანია ვმეგობრობთ და მის შესახებ ყველაფერი გადასარევად ვიცი. რაც შეეხება წიგნს, გარდა იმისა, რომ „შერეკილების“ მიხედვით შესანიშნავი ფილმი გადაიღო ელდარ შენგელაიამ, შემდეგ თაქთაქი შვილი დაინტერესდა და სთხოვა, ლიბრეტო დაეწერა. მშვენივრად მახსოვს, დაწერა, ვფიქრობ, შესანიშნავი ოპერა, რომლის სანახავად რუსეთიდან ჩამოვიდა ყველა დიდი კომპოზიტორი, ვინც იმ დროს მოღვაწეობდა და თითოეული მათგანი აღფრთოვანებული დარჩა.

ვისაც ჯერ რეზოს ეს ახალი წიგნი არ უნახავს, ნამდვილად მისალოცები არიან. პირადად მე მიმაჩნია, რომ თუ ცუდ ხასიათზე ხარ და წაიკითხავ, შესანიშნავ განწყობაზე დადგები, თუ გინდა გაიგო, რა არის ქართული, გადაპრანჭული და გაწელილი კი არა, ნორმალური ქართული, აი, ეს წიგნი უნდა წაიკითხო სწორედ. საქართველოში ბევრი მწერალი და პოეტია, მაგრამ მათი აბსოლუტური უმრავლესობა ან ვიღაცას ბაძავს ან ვიღაცის გავლენის ქვეშაა, ყველაზე უნიკალური და ორიგინალური ორი ადამიანი იყო — ჭაბუა ამირეჯიბი და რეზო გაბრიაძე. აი, სწორედ ეს არის, ჩემი აზრით, ნამდვილი პროზა: ხალხური, ადამიანური, სასაცილო, მხიარული, ჭკვიანური.

ნინო სურგულაძე, „მაგთიკომის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი:

— „მაგთიკომი“ წლებია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქართულ მწერლობას და მის გამორჩეულ წარმომადგენლებს. „მაგთიკომის“ ინიციატივით და მხარდაჭერით უკვე ათეულობით წიგნი გამოიცა და მოხარულები ვართ, რომ მათ რიცხვშია ბატონი რეზო გაბრიაძის „შერეკილებიც“.

„მაგთიკომი“ მომავალშიც გააგრძელებს ქართული კულტურის პოპულარიზაციას და დღევანდელი დღე ჩვენი მხრიდან არის ერთგვარი მადლობის გადახდა ბატონი რეზოსთვის, მისი მაღალი ინტელექტუალური მოღვაწეობისთვის და ნამუშევრებისთვის.

ლევან გაბრიაძე, რეზო გაბრიაძის ვაჟი:

— რეზო გაბრიაძე უწინარესად არის დრამატურგი. ამ წიგნის საწყისი იყო სცენარი, ფილმი, ამის შემდეგ კი რეზოს ისეთი მიდგომა აქვს, რომ ყოველთვის უბრუნდება ძველ თემებს, ამუშავებს და წინ სწევს. ახლა მოინდომა „შერეკილების“ დაბრუნება, კიდევ ერთხელ გააზრება და ასეთი ახალი ვარიანტი გამოვიდა, რომელიც ფილმისგან განსხვავებულია, არის სასაცილო და პოეტური.

„მაგთიმ“ შემოგვთავაზა წიგნის გამოცემა, ჩვენც დიდი სიამოვნებით დავთანხმდით. რეზომ სპეციალურად ამ წიგნისთვის უამრავი ნახატი შექმნა, ერთად ვმუშაობდით პროექტზე და იმედი მაქვს, კარგი შედეგით დავასრულეთ.

საერთოდ, რეზო სულ მუშაობს, ის არ გაჩერებულა თითქმის არასოდეს, ამჯერად კი „მაგთიკომის“ გვერდზე დგომით თავისი აქტიურობის მორიგი შედეგი წარმოგვიდგინა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი კომპანიას.

რეზო გაბრიაძე:

— საერთოდ, სულ ვამბობ ხოლმე, რომ ხალხის წინაშე გამოსვლა არ ვიცი, მაგრამ ახლა ის შემთხვევაა, რომ ბევრი ადამიანის მიმართ მინდა მადლიერება გამოვთქვა. სიმართლე გითხრათ, „შერეკილების“ გამოცემა არც მიფიქრია, მაგრამ მოხდა ისე, რომ უცბად, სრულიად მოულოდნელად, წიგნი დაიბადა. ამისთვის დიდი მადლობა მინდა გადავუხადო „მაგთიკომს“... არა, მაინც მიჭირს საჭირო სიტყვების მოძებნა, ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ასეთი შესაძლებლობა მომცა კომპანიამ და მადლობა, დიდი მადლობა ამ ყველაფრისთვის.

* * *

„მაგთიკომი მომავალშიც გააგრძელებს ქართული მწერლობისა და, ზოგადად ხელოვნების მხარდაჭერას“, — აცხადებენ მაგთიკომში.

მამუკა ვაშაკიძე

საქართველოს ეროვნული მუზეუმი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მუზეუმის ღვაწლმოსილი თანამშრომლის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის შუა საუკუნეების კოლექციების კურატორის, არქეოლოგ

ნოე (ბაჩანა)

აფხაზავას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

◎ ინფორმაცია

რუსეთს აფხაზეთში ახალი მაიდანი არ აწყობს

რუსეთს არ აწყობს ახალი მაიდანი მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე და, აქედან გამომდინარე, არა მგონია, ხელი შეუწყოს სიტუაციის ესკალაციის აფხაზეთში, — ამის შესახებ ექსპერტმა კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძემ ოკუპირებულ აფხაზეთში განვითარებული მოვლენების შეფასებისას განაცხადა.

არეშიძე მიიჩნევს, რომ სოციალურ-პოლიტიკური პროტესტის მიზეზი აფხაზეთში მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა და შექმნილი სიტუაციით, ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა რაულ ხაჯიმბამ ისარგებლა. თუმცა, არეშიძის აზრით, განსხვავებით 2003 წლისგან, დღეს ხაჯიმბას რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ღიად არ უჭერს მხარს.

— თავიდანვე, როდესაც ქვეყნის განვითარების პერსპექტივას გეგმავდა, ანქვაბმა დაუშვა, ალბათ, ძალიან სერიოზული შეცდომა. მან გადაწყვიტა, რომ მთელი ის თანხა, რომელსაც მოსკოვიდან იღებდა — ეს არის ერთი მილიარდი რუბლი წელიწადში — ჩაედო ინფრასტრუქტურის, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში. ამით ირიბად უარი თქვა დანარჩენი დარგების განვითარებაზე, პირველ რიგში, ეს ეხება ეკონომიკას. ამან გამოიწვია ის სურათი, რომ რაღაცები შენდება და კეთდება, მაგრამ ხალხის შეგნებაში ეს ვერ ჯდება, როგორც მათთვის გაკეთებული სიკეთე. სხვათა შორის, საქართველოს წინა ხელისუფლებიდან აიღო ბევრი რამ ანქვაბმა. ეს განწყობა ხალხში და ამას დამატებული ის, რომ კორუფციული სქემებით ხდება ფულის გადანაწილება, იწვევს საერთო აფხაზურ გაღიზიანებს ანქვაბის ხელისუფლების მიმართ. ეს სიტუაცია კარგად გამოიყენა რაულ ხაჯიმბამ, რომელიც წინა პლანზე არ დგას, მაგრამ ჩანს ოპოზიციური ძალების გაერთიანების უკან, — განაცხადა არეშიძემ.

მისივე თქმით, 2003 წელს სერგეი ბაღაფშის „პრეზიდენტად“ არჩევამდე, ვლადიმერ პუტინი ერთმნიშვნელოვნად უჭერდა მხარს რაულ ხაჯიმბას, თუმცა, შემდეგ სიტუაცია შეცვალა, განსაკუთრებით 2008 წლის მოვლენების შემდეგ.

— რაც შეეხება შემდგომში რა მოხდება, ვერავითარი ძირეული ცვლილება აფხაზურ სოციალურ სივრცეში ვერ განხორციელდება. ანქვაბი მოიყვანს იმ მთავრობას, რომელსაც ეს ოპოზიცია აირჩევს და იქნება მუდმივი დაპირისპირება და რაღაც კოჰაბიტაციის მაგვარი, რაც აფხაზეთისნაირი ღარიბი რეგიონისთვის კიდევ უფრო რთულია, ვიდრე დანარჩენ საქართველოში, — განაცხადა მამუკა არეშიძემ.

აფხაზეთში საპროტესტო გამოსვლები მიმდინარეობს და ოპოზიცია დე ფაქტო პრეზიდენტ ალექსანდრე ანქვაბის გადადგომას ითხოვს.

სროლა აზერბაიჯან-სომხეთის საზღვარზე

აზერბაიჯანის საზღვართან ახლოს აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფმა სომეხი სამხედროების თავდასხმა მოიგერია. იუწყება აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახური.

აზერბაიჯანის თავდაცვის უწყების ინფორმაციით, შეტაკების შედეგად დაღუპულია რამდენიმე სომეხი სამხედრო, რის გამოც სომხურმა მხარემ უკან დაიხია.

ამასთან, გავრცელებული ინფორმაციით, აზერბაიჯანის საზღვართან მომხდარი შეტაკების შედეგად დაღუპულია სამი აზერბაიჯანელი სამხედროც.

არსებული ინფორმაციით, სომეხ და აზერბაიჯანელ სამხედროებს შორის სროლა ფიზულის რაიონის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მოხდა. ქალაქ ფიზულს მთიანი ყარაბაღის არაღიარებული რესპუბლიკა აკონტროლებს.

ინტერპრესი

◎ კრიმინალი

შსს-მ ქურდობის ფაქტზე ორი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, შსს-ს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს გორის რაიონული სამმართველოს მეორე განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1973 წელს დაბადებული გიორგი ო. და 1979 წელს დაბადებული, წარსულში ქურდობისა და ყაჩაღობისთვის ნასამართლევი გიორგი გ. ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

სამინისტროს ცნობით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულებმა თბილისი-ნიქოზის მოქმედი სარკინიგზო მაგისტრალის მე-13, მე-14, მე-15 კილომეტრიდან 1,5 კმ სიგრძეზე, „საქართველოს რკინიგზის“ კუთვნილი, მატარებლის ლიანდაგის დამჭერები მოიპარეს.

სამართალდამცველებმა გიორგი ო. და გიორგი გ. სოფელ ახალდაბაში იმ დროს დააკავეს, როდესაც ისინი სარეალიზაციოდ გამზადებული მოპარული დამჭერების ტრანსპორტირებას აპირებდნენ.

ორივე დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. მათ ასევე აღიარეს მანამდე ჩადენილი რამდენიმე მსგავსი ფაქტი. გამოძიებით დადგენილია, რომ მათ მიერ „საქართველოს რკინიგზისთვის“ მიყენებული ზარალი საერთო ჯამში 1134 ლარს შეადგენს.

გამოძიება ქურდობის ფაქტზე მიმდინარეობს, რაც 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ინტერპრესი

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.

◎ დღესასწაული

ამაღლება უფლისა

29 მაისს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იესო ქრისტეს ამაღლებას დღესასწაულობს.

...და, აი, დადგა ეს დღეც! იესო ქრისტეს აღდგომიდან მეორმოცე დღე, შეიკრიბნენ მაცხოვრის მოწაფეები და გამოეცხადათ მათ

უფალი. მახარებლებს დაწვრილებით არ აქვთ გადმოცემული იესოს ბოლო საუბარი, მაგრამ მახარებელი ლუკა მოგვითხრობს, თუ რას შეეხებოდა იგი. უფალმა კიდევ ერთხელ ბრძანა, რომ აუცილებელი იყო ჯვარზე ვნება მესიისა, რადგან „ასე იყო დაწერილი“, რომ იესო ქრისტე მესამე დღეს მკვდრეთით უნდა აღმდგარიყო.

...უფალი ასე ასწავლიდა აღდგომის მხილველთ: „უქადაგეთ მათ უფლის სახელით სინანული და მიტევება ცოდვათა“.

აღსანიშნავია, რომ ვიდრე საქადაგებლად წავიდოდნენ, მოციქულებს უნდა მიეღოთ სულიწმიდის მადლმოსილი ნიჭი.

...უფალმა იესო ქრისტემ გამოიყვანა თავისი მოწაფეები იერუსალიმიდან და ბეთანიისაკენ გაემართა. ჰკითხეს მოწაფეებმა მას: „...უფალო, უკეთუ ამათ ჟამთა კვალად მოაგო სასუფეველი ისრაელსა?“ უფალმა მდაბლად მოისმინა მათი შეკითხვა და სიყვარულით უპასუხა: „არა, თქვენი არს ცნობაი ჟამთა და წელთა, რომელნი იგი მამამან დასხნა თვისითა ხელმწიფებითა“:

ამ საუბარში მიაღწიეს ელეონის მთას. იესომ აკურთხა მოწაფენი და მათ წინაშე ზეცად ამაღლდა. გაოგნებულ მოწაფეებს უფლის ორი ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: „ესე იესო, რომელი ამაღლდა თქვენგან ზეცად, ეგრეთვე მოვიდეს ვითარცა იხილეთ აღმავალი ზეცად“.

ასეთი სიტყვების მოსმენის შემდეგ მოციქულებმა თაყვანი სცეს ზეცად ამაღლებულ უფალს და „სიხარულითა დიდითა“ დაბრუნდნენ იერუსალიმში.

გიული ლიპარტია

რედაქცია გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ მადლობის სტრიქონები

საჭირო დროს, საჭირო ადგილას...

საბედნიეროდ, დღევანდელ საქართველოში შეხვდები თანამდებობის პირებს, რომელთაც კარგად აქვთ გათავისებული თავისი დანიშნულება — დახმარების ხელი გაუწოდონ შეჭირვებულ ადამიანებს, გული გაუთბონ, და გაუძლიერონ განცდა, რომ ისინი მარტონი არ არიან თავიანთ პრობლემებთან... მე ვწერ ახალგაზრდა კაცზე, სამგორის რაიონის გამგებელზე გიორგი ხახნელიძეზე...

ბატონი გიორგი არის სწორედ ასეთი პიროვნება, როგორც იტყვიან, საჭირო დროს, საჭირო ადგილას რომ აღმოჩნდება.

ღიმილი... კეთილგანწყობა, უბრალოება, ოპტიმისტიური განწყობა — ასეთი შთაბეჭდილებებით გამოდიან გამგებლის სამუშაო ოთახიდან მასზე. ასეთი განწყობით გამოვედი მეც და ბევრი სხვა ადამიანიც, რომელთაც თავიანთი შესაძლებლობის მაქსიმუმი გაუკეთეს აქ, რისთვისაც საჯაროდ ვუხდით მადლობას თქვენი გაზეთის საშუალებით.

„გული ადგილიდან უნდა მიძრას-მოძრას კაცმა, თუ კაცს კაცის სიკეთე უნდაო, გვასწავლის დიდი ილია. სწორედაც რომ გული გონიერი აქვს მომადლებული ღვთისგან გამგებელს. ღმერთმა ფართო გზა მისცეს მის მოღვაწეობას საზოგადოებრივ ასპარეზზე.

ეს გზა გვირაბის ბოლოს სინთლეს დაგვანახვებს და ტაძრამდე მიგვიყვანს.

წარმატებები ვუსურვოთ ბატონ გიორგი ხახნელიძეს ამ საპატიო გზაზე, რომელსაც ხალხის სამსახური ჰქვია.

როზეტა ჩხიკვაძე.

◎ ჩვენი კარაბადინი

ესემესი ექიმისგან

მოსკოვის პოლიკლინიკების ექიმებს შეეძლებათ იქონიონ ურთიერთობანი პაციენტებთან SMS-ით გაცნობებით ან ელექტრონული ფოსტით.

საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის პრესმდივანმა ელენა ნოვიკოვამ განაცხადა, რომ ეს სიახლე შეეხება ქრონიკულ ავადმყოფებს, რომლებსაც ავიწყდებათ ან ეზარებათ მუდმივად ჩააბარონ ანალიზები, გაიკეთონ გამოკვლევები და მიიღონ წამლები. როდესაც ექიმი ცნობებს მიიღებს, პაციენტს დროულად ეცნობება იმის აუცილებლობა, რომ საჭიროა გაიზომოს შაქარი ან არტერიული წნევის დონე, სტენოკარდიით დაავადებულები კი მიიღებენ შეტყობინებას ელექტროკარდიოგრამის გავლის შესახებ, რაც წელიწადში რამდენჯერმე უნდა გაიკეთონ.

სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ეს ზომები საშუალებას მოგვცემს არა მხოლოდ დროულად დავეხმაროთ პაციენტებს, არამედ გავზარდოთ ექიმებისადმი ნდობის დონეც.

(კარგი იქნებოდა, მსგავსი სიახლე საქართველოს პოლიკლინიკებშიც დანერგილიყო).

განკურნების იმედი

იაპონელმა და ბრიტანელმა მეცნიერებმა დაამუშავეს დიუშენის მიოდისტროფიის მემკვიდრეობითი დაავადების მკურნალობის მეთოდი ხელოვნური ქრომოსომის დახმარებით. ამ დაავადებას იწვევს გენის მუტაცია, რომელიც პასუხისმგებელია დისტროფინის ცილის სინთეზისთვის და რაც აუცილებელია კუნთების ნორმალური მუშაობისთვის. დაავადების სიმპტომები უვლინდებათ ბავშვებს პირველივე წლებიდან: ხდება კუნთების ატროფია, ჯერ ფეხებისა და მენჯის სარტყელში, შემდეგ მხრის, ხელის, სახის არეში. დაავადების მსხვერპლი თითქმის ყოველთვის ბიჭები ხდებიან, რომლებიც იშვიათად ცოცხლობენ 25 წლამდე.

მკურნალობის არსი ქრომოსომის შექმნაშია, რომელიც მუტაციის გენს ატარებს. ქრომოსომას ათავსებენ ტანის უჯრედში, რომელიც გამოდის როგორც სატრანსპორტო საშუალება (ვექტორი) ჯანსაღი გენისთვის. ხდება ტანის უჯრედების კულტივაცია, ისინი შეჰყავთ ორგანიზმში და აღადგენენ დაავადების მიერ დარღვეულ ქსოვილებს.

მეთოდიკა გამოცადეს თაგვებზე და მან შესანიშნავი შედეგები აჩვენა.

ფაქტს კომენტარს უკეთებს ადამიანის სხეულის უჯრედების ინსტიტუტის დირექტორი არტურ ისაევი:

— ჩვენმა მკვლევარებმა უკვე დაამუშავეს ხელოვნური ქრომოსომა კუნთოვანი დისტროფიის სამკურნალოდ. უახლოესი გეგმებია — ქრომოსომის დამუშავება ჰემოფილიის სამკურნალოდ.

ხელოვნური ქრომოსომების შექმნა — ეს არა მხოლოდ მეცნიერული მიღწევაა და გენური თერაპიის პერსპექტიული მიმართულება, ესაა მთელ მსოფლიოში მილიონობით ადამიანისთვის მემკვიდრეობითი დაავადებების განკურნების რეალური იმედით. ჩვენ ვხედავთ, როგორ უჭერენ მხარს ამ მიმართულებას ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიის, დიდი ბრიტანეთის მთავრობები. ჩვენც გვჭირდება სახელმწიფოს მხარდაჭერა, უიმისოდ ჩვენ ვერ შევძლებთ შევინარჩუნოთ ღირებული გამოცდილების მეცნიერები რუსეთში, ჩამოვრჩებით ჩვენს იაპონელ და დასავლელ კოლეგებს.

(მით უმეტეს ჩვენთან, საქართველოში — რედ.).

გამოკითხვა

რას აკეთებთ მძიმე ცხოვრებისეული სიტუაციის შემთხვევაში?

34 პროცენტი — ვიძაბები და ვპოულობ გამოსავალს.

17 პროცენტი — ვლოცულობ და უფლის შემწეობის იმედი მაქვს.

15 პროცენტი — დახმარებისთვის მივმართავ ნათესავებსა და მეგობრებს.

11 პროცენტი — ვსვამ.

11 პროცენტი — ვურიგდები ბედისწერას და უკან ვიხევ.

12 პროცენტი — ჯერ მძიმე სიტუაციაში არ მოვხვედრივარ.

მთლიანად გამოკითხვაში 3462 კაცმა მიიღო მონაწილეობა.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— წარმოიდგინე, რომ გყავს საუკეთესო მანქანა, — ეუბნება ქმარი ცოლს, — საოცრად ლამაზი, პირდაპირ შენი ოცნების მანქანა!

— წარმოვიდგინე, მერე რა?

— რა და, ეს მანქანა მთელი ერთი კვირა ვერ დადის, რადგან პროფილაქტიკა აქვს, მანამდე ორი კვირით ადრე იგი ამისთვის ემზადება და კვლავ არ დადის. დანარჩენ დროს კი განწყობის მიხედვით იქოქება. ეს მოგეწონებოდა?

— რა ჯანდაბად მინდა ასეთი მანქანა?! თუმცა, მოიცა, მოიცა რაზე გადამიკარი სიტყვა?

* * *

ცოლმა თავის მოკვლა გადაწყვიტა.

— შენ ვერ გადამაფიქრებინებ, — ეუბნება იგი ქმარს, — მაინც გადავხტები ფანჯრიდან. არ მინდა შენნაირ მექალთანესა და ბანქოს თამაშით გადარეულთან ცხოვრება. და ნუ მიჯიკავებ!

* * *

— ალკოჰოლი თქვენი უპირველესი მტერია, — ეუბნება პასტორი მრევლს. დათვრებით, აუცილებლად წაეჩხუბებით ცოლს, მოთმინებას დაკარგავთ, პისტოლეტს იშიშვლებთ და... სიმთვრალის გამო მაინც ააცილებთ.

* * *

აი, რას ნიშნავს დაქალი! გუშინდელი ქეიფის შემდეგ მიმათრია სახლში მეხუთე სართულზე და ქმრის ხელებში ჩამაწვინა! თუმცა კი პირველ სართულზე ვცხოვრობ და გაუთხოვარიც ვარ...

* * *

ჟურნალისტები ინტერვიუს იღებენ დღეგრძელისგან და ეკითხებიან, როგორ მოიყარეთ ასი წლისა და აქამდეც ჯანმრთელად რითი ხართო.

— უკვე ათ წელზე მეტია, სექსზე უარი ვთქვი, — ამბობს იგი.

— რატომ?

— მე გამოცდილი ქალები მიყვარს. ჩემი ყველა საყვარელი ჩემზე უფროსი იყო. ახლა კი, სამწუხაროდ, არჩევანი არა მაქვს.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერომსაპიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ბაშაკიძე 514 33-33-24